

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და
ტრანსლაციური მედიცინა“

სოფიო გვაზავა

**ყბა სახის ტრავმული დაზიანებების ეპიდემიოლოგიური
მახასიათებლები ორი კლინიკის და ჰოსპიტალიზაციის ბაზის
მაგალითზე**

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ვლადიმერ მარგველაშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნინო ჩიხლაძე

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2024 წელი

აბსტრაქტი

შესავალი: ყბა-სახის დაზიანებები გლობალური პრობლემაა ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში. რაც შეიძლება იყოს გაზრდილი ავადობისა და სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი. ყბა-სახის ტრავმამ შეიძლება გამოიწვიოს ნაწიბუროვანი დამახინჯება, რომელსაც თან ახლავს ემოციური და ფსიქოლოგიური პრობლემები, კონკრეტული პრობლემა ეხება როგორც დაბალი, ისე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს. სახის მოტეხილობების ეპიდემიოლოგია განსხვავდება ტრავმის ტიპის, დაზიანების და სიმძიმის მიხედვით.

მიზნები: ამ ნაშრომის მთავარი მიზანია შევისწავლოთ ყბა-სახის დაზიანებების მასშტაბი, სიმძიმე და ეტიოლოგია თბილისში, საქართველოში.

მეთოდები: მონაცემები შეგროვდა რეტროსპექტულად, თბილისის მაღალი მიმართვიანობის, ორ გადაუდებელ დახმარების განყოფილებაში, ჯვარედინი დიზაინის გამოყენებით. ჩართვის კრიტერიუმი იყო: პაციენტები ყბა-სახის დაზიანების დიაგნოზით. რომლებიც ჰოსპიტალიზებული იყვნენ 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. სტატისტიკური ანალიზისთვის გამოყენებული იქნა SPSS 21 პროგრამული უზრუნველყოფა.

შედეგები: ეს კვლევა აჩვენებს, რომ მამაკაცებში ყბა-სახის დაზიანებები უფრო ხშირია. 598 პაციენტიდან 67% მამაკაცი იყო, ხოლო პაციენტთა 33% ქალი. მხოლოდ ყბა-სახის დაზიანებით, მამრობითი სქესის პაციენტები კვლავ ლიდერობდნენ, 51% (307) და ქალი პაციენტები იყვნენ 28% (167), ამ შედეგებმა მოგვცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ($p = 0.026$). მასში შედის როგორც ბავშვები, ასევე მოზრდილები. ყბა-სახის დაზიანებების ძირითადი მიზეზები იყო დაცემა, რომელიც შეადგენდა 63%-ს (378 პაციენტი) მთლიანი დაფიქსირებული მონაცემებიდან, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში.

დისკუსია/დასკვნა: დასკვნის სახით, ამ კვლევების შედეგები იძლევა მართლაც მნიშვნელოვან მონაცემებს, რათა მოხდეს მომავალში დაზიანებების თავიდან აცილება. ეს ასევე გვაჩვენებს, რომ საზოგადოების განათლება პრევენციის სტრატეგიებით და გარკვეული მკაცრი წესების დანერგვა არსებითია.

საკვანძო სიტყვები: ეპიდემიოლოგია; საქართველო; ჰოსპიტალიზირებული პაციენტი; ება-სახის დაზიანება; რეტროსპექტული კვლევა;

Abstract

INTRODUCTION: Maxillofacial injuries are a global problem in our modern society. It can be a major cause of increased morbidity and mortality. Maxillofacial trauma can lead to scar distortion accompanied by emotional and psychological problems, which concerns both low- and high-income countries. The epidemiology of facial fractures varies in terms of trauma type, the extent of injury, and severity.

AIMS: The main aim of this paper is to explore the scope, the burden, and the etiology of maxillofacial injuries in Tbilisi, Georgia.

METHODS: Data was retrospectively collected from two large emergency departments in Tbilisi, Georgia using a cross-sectional design. Inclusion criteria was patients admitted in hospitals between 1st January to December 31 with diagnosis maxillofacial injury. SPSS 21 software was used for statistical analysis.

RESULTS: This research shows that men are still the most frequent victims of maxillofacial injuries. Out of 598 patients, 67% were males, and 33% patients were females. With only maxillofacial injuries, the male patients were still leading, with 51% (307) and female patients were 28% (167), these results gave us a statistically significant difference ($p = 0.026$). It includes both children and adults. The main causes of maxillofacial injuries were falls, which equaled to 63% (378 patients) from total recorded data, as in many other countries.

DISCUSSION/CONCLUSION: In conclusion, the results of these researches provide really important data to prevent patients from future injuries. It also shows us, that educating the public with prevention strategies and implementation of some strict rules is substantial.

Keywords: epidemiology; Georgia; hospitalized patient; maxillofacial injury; retrospective study;

სარჩევი

აბსტრაქტი -----	2
Abstract -----	3
ცხრილების, გრაფიკების, დიაგრამების, ილუსტრაციების ჩამონათვალი -----	6
შესავალი -----	16
კვლევის მიზანი, ობიექტი, ამოცანა -----	23
კვლევის მეცნიერული სიახლე -----	24
ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა -----	25
თავი 1. სამეცნიერო ლიტერატური მიმოხილვა -----	25
1.1. ექვსწლიანი სახის ტრავმის მოვლის ეპიდემიოლოგიური ანალიზი -----	28
1.2. ყბა-სახის ტრავმა ძირითადი ტრავმის მქონე პაციენტებში -----	30
1.3. ყბა-სახის მოტეხილობები ლატინის პროვინციაში, ლაციო, იტალია -----	31
1.4. ყბა-სახის მოტეხილობის ეპიდემიოლოგია და მკურნალობის გეგმები -----	33
1.5. სახის მოტეხილობების ეპიდემიოლოგია -----	33
1.6. ყბა-სახის ტრავმის ეტიოლოგია და სიხშირე ამსტერდამში -----	35
1.7. ტრავმული სტომატოლოგიური დაზიანებების ეპიდემიოლოგია -----	36
1.8. ტრავმული სტომატოლოგიური დაზიანებების რეტროსპექტული შესწავლა -----	39
1.9. მუდმივი საჭრელების ტრავმული დაზიანებები ბავშვებში -----	40
1.10. რეტროსპექტული კვლევა სტომატოლოგიური ტრავმული დაზიანებებზე -----	41
1.11. სახის ტრავმის ნიმუში და მკურნალობა პედიატრიულ და მოზარდ პაც. -----	43
1.12. პედიატრიული პაციენტების ყბა-სახის ტრავმა მალაიზიაში -----	43
კვლევის მეთოდოლოგია -----	45
თავი 2. კვლევითი კომპონენტი I. ყბა-სახის ტრავმული დაზიანების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები ჰოსპიტალიზაციის ბაზის მაგალითზე -----	46
2.1. კვლევის მიზანი და ამოცანები -----	46
2.2. 2022 წლის ყბა-სახის ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები -----	55
2.3. 2022 წლის პაციენტთა გადანაწილება ასაკის მიხედვით -----	69
2.4. 2022 წლის პაციენტთა გადანაწილება სქესის მიხედვით -----	80

2.5. 2022 წლის პაციენტთა გადანაწილება გატარებული საწოლ-დღეების მიხედვით ----	95
თავი 3. კვლევითი კომპონენტი II. ყბა-სახის ტრავმული დაზიანების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები ორი ჰოსპიტალის მაგალითზე -----	109
3.1. კვლევის შედეგები -----	109
3.2. კვლევის შედეგების განხილვა -----	111
3.3. ტრავმის ტიპები -----	119
3.4. სხეულის ნაწილის დაზიანებები -----	149
3.5. პაციენტის ტიპი -----	155
3.6. დაზიანების სიმძიმე -----	158
დასკვნები და რეკომენდაციები -----	164
გამოყენებული ლიტერატურა -----	166
დანართი 1. სამედიცინო ეთიკის კომისიის თანხმობის წერილი -----	176
დანართი 2. სამედიცინო ეთიკის კომისიის თანხმობის წერილი -----	177
დანართი 3. სამედიცინო ეთიკის კომისიის თანხმობის წერილი -----	178
დანართი 4. სამედიცინო ეთიკის კომისიის თანხმობის წერილი -----	179
დანართი 5. გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში ტრავმატიზმის -----	180
დანართი 6. საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა -----	181
ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების საკვლევო კითხვარი -----	182
სამეცნიერო პუბლიკაციების ჩამონათვალი -----	190

ცხრილების, გრაფიკების, დიაგრამების, ილუსტრაციების ჩამონათვალი *ცხრილები*

- ცხრილი 1. სტატისტიკა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა შესახებ წლების მიხედვით 2007-დან 2013 წლის ჩათვლით. გვ.20
- ცხრილი 2. ტრავმული სტომატოლოგიური დაზიანებების რეტროსპექტული შესწავლა ბრაზილიის სტომატოლოგიურ ტრავმატოლოგიურ კლინიკაში. გვ.40
- ცხრილი 3. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი გვ.47
- ცხრილი 4. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა სქესის მიხედვით, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი. გვ.48
- ცხრილი 5. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი. გვ.49
- ცხრილი 6. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების განაწილება ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობის მიხედვით, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი. გვ.50
- ცხრილი 7. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი. გვ.51
- ცხრილი 8. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი. გვ.52
- ცხრილი 9. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, შემთხვევის ტიპი, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი. გვ.53
- ცხრილი 10. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საცხოვრებელი რეგიონი, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი. გვ.54
- ცხრილი 11. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საცხოვრებელი რეგიონი, საქართველო, 2022 წელი. გვ.56
- ცხრილი 12. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, სქესი, საქართველო, 2022 წელი. გვ.57

- ცხრილი 40. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, გატარებული საწოლ-დღეები, საქართველო, 2022 წელი. გვ.101
- ცხრილი 41. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, დასკვნითი დიაგნოზი, გატარებული საწოლ-დღეები, საქართველო, 2022 წელი. გვ.103
- ცხრილი 42. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, გარეგანი მიზეზი, გატარებული საწოლ-დღეები, საქართველო, 2022 წელი. გვ.105
- ცხრილი 43. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ტრავმათა სიხშირე ადგილის მიხედვით. გვ.114
- ცხრილი 44. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, დაზიანების ადგილი სქესის მიხედვით. გვ.115
- ცხრილი 45. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, დაზიანების მიღების ადგილი ასაკის მიხედვით. გვ.116
- ცხრილი 46. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, სამუშაოსთან დაკავშირებული დაზიანება, დაზიანებათა სიხშირე დასაქმებულ პირებში. გვ.117
- ცხრილი 47. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ტრავმის ტიპი 1 სქესისა და ასაკის მიხედვით. გვ.120
- ცხრილი 48. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ტრავმის ტიპი 1 თვეებისა და ასაკის მიხედვით. გვ.124
- ცხრილი 49. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ტრავმის ტიპი 1 თვეების და სქესის მიხედვით. გვ.129
- ცხრილი 50. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, მკურნალობა/დაკვირვების მიხედვით. გვ.135
- ცხრილი 51. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ტრანსპორტირების მიხედვით. გვ.136
- ცხრილი 52. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, განზრახვის მიხედვით. გვ.137

ცხრილი 53. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, საგზაო მოძრაობის დაზიანების შემთხვევის მიხედვით. გვ.138

ცხრილი 54. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, დაზიანების მექანიზმის მიხედვით. გვ.139

ცხრილი 55. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, დაზიანების მექანიზმი თვეებისა და სქესის მიხედვით. გვ.141

ცხრილი 56. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, დაზიანების მექანიზმი თვეებისა და ასაკის მიხედვით. გვ.145

ცხრილი 57. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, დაზიანება 1 სქესისა და ასაკის მიხედვით. გვ.150

ცხრილი 58. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ტრავმის ტიპი 2-ის რაოდენობათა სიხშირე. გვ.153

ცხრილი 59. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, სხეულის ნაწილის დაზიანება 2-ის რაოდენობათა სიხშირე. გვ.154

ცხრილი 60. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, პაციენტთა ტიპი. გვ.156

ცხრილი 61. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, პაციენტთა ტიპი სქესისა და ასაკის მიხედვით. გვ.157

ცხრილი 62. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, დაზიანების სიმძიმის მიხედვით. გვ.158

ცხრილი 63. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ჰოსპიტალში დაყოვნების პერიოდი. გვ.160

ცხრილი 64. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ჰოსპიტალში დაყოვნებია სქესის და ასაკის მიხედვით. გვ.161

ილუსტრაციები

ილუსტრაცია 1. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საცხოვრებელი რეგიონი, საქართველო, 2022 წელი. გვ.55

ილუსტრაცია 2. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საცხოვრებელი რეგიონი, საქართველო, 2022 წელი. გვ.56

ილუსტრაცია 31. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, შემთხვევის ტიპი, გატარებული საწოლ-დღეები, საქართველო, 2022 წელი. გვ.100

ილუსტრაცია 32. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, გატარებული საწოლ-დღეები, საქართველო, 2022 წელი.გვ.102

ილუსტრაცია 33. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, დასკვნითი დიაგნოზი, გატარებული საწოლ-დღეები, საქართველო, 2022 წელი.გვ.104

ილუსტრაცია 34. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, გარეგანი მიზეზი, გატარებული საწოლ-დღეები, საქართველო, 2022 წელი. გვ.108

გრაფიკები

გრაფიკი 1. ტრავმიანი პაციენტების განაწილება, ანატომიური ადგილმდებარეობის მიხედვით. გვ.29

გრაფიკი 2. პაციენტების განაწილება ტრავმის ეტიოლოგიასთან მიმართებაში.

გრაფიკი 3. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი. გვ.30

გრაფიკი 4. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა სქესის მიხედვით, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი. გვ.48

გრაფიკი 5. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად, საქართველო, 2015-2022 წელი.გვ.50

გრაფიკი 6. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების განაწილება ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობის მიხედვით, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი. გვ.51

გრაფიკი 7. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, შემთხვევის ტიპი, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი. გვ.54

გრაფიკი 8. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ტრავმის ტიპი 1 სქესისა და ასაკის მიხედვით.გვ.122

- გრაფიკი 9. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ტრავმის ტიპი 1 თვეებისა და ასაკის მიხედვით. გვ.128
- გრაფიკი 10. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ტრავმის ტიპების რაოდენობა, თვეების და სქესის მიხედვით. გვ.133
- გრაფიკი 11. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, მკურნალობა/დაკვირვების მიხედვით. გვ.134
- გრაფიკი 12. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ტრანსპორტირების მიხედვით. გვ.136
- გრაფიკი 13. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, განზრახვის მიხედვით. გვ.137
- გრაფიკი 14. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, საგზაო მოძრაობის დაზიანების შემთხვევის მიხედვით. გვ.138
- გრაფიკი 15. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, დაზიანების მექანიზმის მიხედვით. გვ.140
- გრაფიკი 16. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, დაზიანების მექანიზმი თვეებისა და სქესის მიხედვით. გვ.144
- გრაფიკი 17. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, დაზიანების მექანიზმი თვეებისა და ასაკის მიხედვით. გვ.148
- გრაფიკი 18. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, დაზიანება 1 სქესისა და ასაკის მიხედვით. გვ.152
- გრაფიკი 19. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ტრავმის ტიპი 2-ის რაოდენობათა სიხშირე. გვ.153
- გრაფიკი 20. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, სხეულის ნაწილის დაზიანება 2-ის რაოდენობათა სიხშირე. გვ.155
- გრაფიკი 21. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, პაციენტთა ტიპი. გვ.156
- გრაფიკი 22. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, პაციენტთა ტიპი სქესისა და ასაკის მიხედვით. გვ.158

გრაფიკი 23. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, დაზიანების სიმძიმის რაოდენობათა სიხშირის მიხედვით. გვ.159

გრაფიკი 24. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ჰოსპიტალში დაყოვნების პერიოდი. გვ.160

გრაფიკი 25. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ჰოსპიტალში დაყოვნება სქესის და ასაკის მიხედვით. გვ.164

დიაგრამები

დიაგრამა 1. 2. ყბა-სახის ნამკურნალები ტრავმები; სქესი. გვ.32

დიაგრამა 3. ალკოჰოლის მიღებისას მომხდარი ტრავმები. გვ.36

დიაგრამა 4. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი. გვ.53

დიაგრამა 5. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საცხოვრებელი რეგიონი, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი. გვ.55

დიაგრამა 6. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ასაკი, საქართველო, 2022 წელი. გვ.59

დიაგრამა 7. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, ტრავმათა სიხშირე ადგილის მიხედვით. გვ.114

დიაგრამა 8. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, დაზიანების მიღების ადგილი სქესის მიხედვით. გვ.115

დიაგრამა 9. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, დაზიანების მიღების ადგილი ასაკის მიხედვით. გვ.117

დიაგრამა 10. 2018 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტები, სამუშაოსთან დაკავშირებული დაზიანება, დაზიანებათა სიხშირე დასაქმებულ პირებში. გვ.118

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა.

სხეულისა და სახის დაზიანებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან კვლევების თანახმად დამტკიცდა, რომ სიკვდილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სიცოცხლის პირველი 40 წლის განმავლობაში სწორედ ტრავმებია. (P. Curry et al; 2011)(1) ტრავმამ შესაძლოა ინვალიდობა გამოიწვიოს, რაც პროდუქტიულობის დაქვეითების ან სრულად დაკარგვის მთავარი მიზეზი შეიძლება გახდეს. (Arangio et al;2014)(2). ტრავმული დაზიანებებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია ყბა-სახის მიდამოს ტრავმებია, რომლის წარმოშობაზე და განვითარებაზე მრავალი ადგილობრივი და ზოგადი ფაქტორი მოქმედებს. (Van den Bergh et al, 2012). (M. A. Jaber et al; 2020)(3;4). ყბა-სახის დაზიანებებზე გავლენას ახდენს: ამინდის ცვალებადობა, სეზონი, სპორტი, ავტოსაგზაო შემთხვევები, ავტოსაგზაო წესები, ინფრასტრუქტურა, ქუჩების კეთილმოწყობა, საცხოვრებლები, ზოგადი მდგომარეობა, ასაკი, სამუშაო და საყოფაცხოვრებო გარემო და სხვა გარემო ფაქტორები. ყბა-სახის დაზიანებების ეპიდემიოლოგიური კვლევები ხშირად გვხვდება, ტრავმებში, ქირურგიაში, სტომატოლოგიაში და საერთოდ გლობალურად სამედიცინო ლიტერატურაში. (Fatima A. S. Alsayad;2018) (24). ყველა დაზარალებული პაციენტის დაახლოებით ერთ მესამედს აქვს დაზიანება ყბა-სახის მიდამოში. (M. Yadollahi et al, 2019)(5).

ყბა-სახის ტრავმული დაზიანებები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ავადობისა და სიკვდილიანობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მიზეზებს შორის არიან, რამაც ასევე შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი ან მუდმივი ინვალიდობა. (M. Abosadegh, et al, 2019) (Prasad C, et al; 2018) (A.L. Ribeiro, et al; 2016)(6;7;8). ყბა-სახის ტრავმების შედეგად მიღებული დაზიანებების გამო განვითარებული ტკივილი, ესთეტიური დისკომფორტი და ზოგჯერ უუნარობა იწვევს ფუნქციური და ესთეტიური ხასიათის დარღვევებს, ხელს უშლის პიროვნების ჯანსაღ ინტეგრაციას საზოგადოებაში. (Nidhi Rao, et al; 2020)(Jonathan P. Shepherd;2008) (25;26)

ყბა-სახის ტრავმები სერიოზულ პროფესიულ მიდგომას და მკურნალობას საჭიროებს შემდგომში გართულებების თავიდან ასაცილებლად. მსოფლიო მაშტაბით მკურნალობის ხელმისაწვდომობა არც ისე მაღალია, განსაკუთრებით დაბალ განვითარებულ ქვეყნებში და დაბალი განათლებისა და შემოსავლის მქონე პირებში, შესაბამისად ჯანმრთელობის გარდა ესტეტიური დისკომფორტი ხშირად სამუდამო პრობლემად რჩება, ძირითადად დაბალი სოციალური სტატუსის მოსახლეობაში. ამ მიზეზების გამო საზოგადოებრივი პროგრამების და პროექტების შექმნა, რომელიც ითვალისწინებს ღარიბი და დაბალი სოციალური ფენის მაქსიმალურ ჩართულობას, ყბა სახის ტრავმების შედეგად მიღებული დაზიანებების მკურნალობას და პრევენციისათვის აუცილებელი პირობაა. (P.Manodh, et al; 2016) (Bruno Ramos Chrcanovic; 2012) (27;28)

პრობლემის მასშტაბის გათვალისწინებით ყბა-სახის ტრავმების შედეგად მიღებული დაზიანებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სოციალურ-ეკონომიკური საკითხის, ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. რომელიც ეხება მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფს. ყბა-სახის დაზიანებები აღენიშნებათ, დაახლოებით 5დან --33% -მდე მძიმე ტრავმის მქონე პაციენტებს. (Goodisson D, et al.,2004) (Hayter JP, et al. 1991)(9;10). ყბა-სახის ტრავმების ეტიოლოგია განსხვავდება, ეპიდემიოლოგია კი უკიდურესად ცვალებადია, რადგან ამგვარი მონაცემები სპეციფიკურია სხვადასხვა ქვეყანაში და ასევე ერთი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, რომელიც დამოკიდებულია გარემო ფაქტორებზე, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და ცხოვრების წესის მდგომარეობაზე. მაგალითად: ქვეყნებში სადაც სპორტი განსაკუთრებულად პოპულარულია, სპორტის შედეგად მიღებული ტრავმები მეტია. სადაც სიცივე და მოყინული ზედაპირები უფრო მეტად გვხვდება, ასეთ ქვეყნებში ტრავმები გამოწვეული ვარდნისაგან გამოკვეთილად ლიდერობს და ა.შ. (Lee,2012); (van Hout et al.2013)(11;12). ყბა-სახის დაზიანებებმა შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული კლინიკური პრობლემები მათი ანატომიური მდებარეობის გამო, როგორცაა ჭამა, სუნთქვა, ყნოსვა, სმენა და საუბარი. (Sergio Augusto Quevedo Miguens-Jr. et al, 2016)(13). ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტრავმის მექანიზმებსა და ეტიოლოგიურ ფაქტორებს. (Gandhi et al. 2011;)(Kostakis et al. 2012;)(Naveen Shankar et al. 2012;)(14;15;16;).

ყბა-სახის მოტეხილობები, სახისა და ყბის სხვადასხვა სახის დაზიანებების შედეგია და შეიძლება განვითარდეს როგორც ცალკე, ასევე სხვა ტრავმებთან ერთად (FN Shahim, et al., 2006)(17). სახის მოტეხილობების დიაგნოსტიკა და მკურნალობა კვლავ რჩება რთულ პრობლემად, რომელიც რეგულარულად მოითხოვს მულტიდისციპლინურ მიდგომას (Erdmann et al., 2008;) (Katzen et al., 2003) (18;19). ამიტომ, მათი მნიშვნელობისა და სიხშირის გამო, საჭიროა სწორი დიაგნოსტიკა და სპეციფიკური მკურნალობა. (Van den Bergh et al, 2012). (J.L Rodrigues et al, 2010)(3;20).

ყბა-სახის მიდამოს ტრავმების განვითარებაზე მრავალი ადგილობრივი და ზოგადი ფაქტორი მოქმედებს. ყბა-სახის დაზიანებებზე გავლენას ახდენს: ამინდის ცვალებადობა, სეზონი, სპორტი, ავტოსაგზაო შემთხვევები, ავტოსაგზაო წესები, ინფრასტრუქტურა, ქუჩების კეთილმოწყობა, საცხოვრებლები, ზოგადი მდგომარეობა, ასაკი, სამუშაო და საყოფაცხოვრებო გარემო და სხვა გარემო ფაქტორები. (T.M. Niazi et al; 2020)(21).

სახის ტრავმამ შეიძლება გამოიწვიოს ნაწიბუროვანი დამახინჯება, რომელსაც თან ერთვის ემოციური და ფსიქოლოგიური პრობლემები. პოსტტრავმულად ფსიქოლოგიური ზემოქმედება, სტრესული სინდრომი და დეპრესია როგორც წესი ყბა-სახის მიდამოს ტრავმებთან თანდართულია. ყბა-სახის მიდამოს დაზიანებები ძალიან დიდ როლს ასრულებს ადამიანის გარეგნობაში. ასევე ძალიან ბევრ მნიშვნელოვან ფუნქციასთან არის დაკავშირებული, როგორებიცაა: ჭამა, სუნთქვა, ყნოსვა, სმენა და ლაპარაკი. სახის მიდამოს ტრავმებთან ასევე დაკავშირებულია მაღალი სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები, საავადმყოფოს ხარჯების გაზრდა, როდესაც მუშაობა შეუძლებელია. (Sergio Augusto Quevedo Miguens-Jr. et al, 2016)(13).

ეპიდემიოლოგიური კვლევები ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტრავმის ტვირთის იდენტიფიცირებისთვის, არამედ რესურსების მართვისა და ჯანდაცვის სექტორის დაგეგმვისთვის. ყბა-სახის ტრავმის მართვა მოიცავს სახის ძვლის მოტეხილობების, დენტალვეოლარული ტრავმის და რბილი ქსოვილების დაზიანებების მკურნალობას, ისევე როგორც ნებისმიერ დაზიანებებს, რომლებიც ძირითადად სახესთან და თავთან ასოცირდება (Hausamen et al, 2001) (22).

საქართველოში ყბა-სახის დაზიანებების არაერთი შემთხვევაა (L.Bilder, et al; 2016)(23) მაგრამ ამ თემაზე ეპიდემიოლოგიური კვლევები მაინც არ არის.

ასეთი ტიპის კვლევები კი გვეხმარება შევამციროთ ან სულაც თავიდან ავიცილოთ ყბა-სახის მიდამოს დაზიანებები.


ტრადიციული სამკურნალო მომსახურება მნიშვნელოვან ეკონომიკურ დატვირთვას წარმოადგენს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, სადაც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ბიუჯეტის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ყბა-სახი ტრავმების მკურნალობასა და პროფილაქტიკას ხმარდება, დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე განვითარებად ქვეყნებში კი ასეთი ტიპის პროგრამები იშვიათია. დაზიანებების შედეგად, მომსახურების მაღალი ხარჯები შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული ეფექტური პრევენციით, კარგად დაგეგმილი პროფილაქტიკით კი დაავადებათა შემცირების მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება გადადგმული. (A. Abid, et al;2015) (Phillipo L Chalya, et al; 2011) (Poul Erik Petersen, et al; 2005) (29;30;31,)

ყბა სახის ტრავმების შესამცირებელი ღონისძიებები პირველ რიგში რისკ-ფაქტორების მოცილებისაკენ უნდა იყოს მიმართული, ტრავმების ეპიდემიოლოგია იცვლება დროის განმავლობაშიც, არა მხოლოდ მოსახლეობისა და საზოგადოებრივი ცვლილებების გამო, არამედ საკანონმდებლო ცვლილებებაც ახდენენ მასზე გავლენას. მაგალითაად: სწორი კანონცვლილებები შემოღება რომელიც ეხება არა ერთ სფეროს; მშენებლობისას მომუშავე პერსონალისათვის მკაცრი წესების მიცემა, მათივე უსაფრთხოებისათვის, ასევე მშენებლობასთან ახლომდებარე ტერიორიების დაცვა, სხვადასხვა კონსტრუქციებით. პატარა ძრავიანი მოტოციკლეტების, მოპედებისა თუ ველოსიპედებისათვის უსაფრთხოების წესების დაცვა, სულ მცირე ჩაფხუტის ტარების აუცილებლობა. (A. Kamulegeya, et al. 2009) (Wasiu Lanre Adeyemo, et al. 2005) (Zhou, Hai-Hua, 2013) (32,33,34) ავტო-საგზაო მოძრაობისათვის წესების გამკაცრება, როგორც სიჩქარეზე ასევე სწორ გადაადგილებაზე და გამოყენებაზე, რისი კარგი მაგალითიც საქართველოში ღვედის ხმარების აუცილებლობა შეგვიძლია მოვიყვანოთ, როცა ღვედის გაკეთება სავალდებულო გახდა კანონით, შემცირდა ავტოსაგზაო დაზიანებები. ბევრი მაგალითი არსებობს ტრანსპორტთან, სიჩქარესთან, ალკოჰოლთან და საგზაო წესების დაცვასთან დაკავშირებული. (Kai Lee, 2009) (P Ó Ceallaigh,2006) (Choi, Su Hyun MD,2016) (35,36,37). ამის მაღიან კარგი მაგალითია საქართველოში უსაფრთხოების ღვედის გამოყენება, რომელიც სავალდებულო 2010 წლის ბოლოს გახდა. როგორც უმეტესი პრევენციული

ლონისძიებები, ამ კანონსაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, თუმცა ციფრებით და წლების დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნადვილად დადებითი შედეგი გამოიღო. 2011 წლიდან ავარიების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, იმის გათვალისწინებით, როცა საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს.

სტატისტიკა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა შესახებ 2007-2013 წლის ჩათვლით. (უსაფრთხოების ღვედის გამოყენება სავალდებულო გახდა 2010 წლის ბოლოს)

- 2007 წელს დაიღუპა 737 ადამიანი
 - 2008 წელს დაიღუპა 867 ადამიანი
 - 2009 წელს დაიღუპა 741 ადამიანი
 - 2010 წელს დაიღუპა 685 ადამიანი
- ღვედის დაკანონების შემდეგ:
- 2011 წელს დაიღუპა 526 ადამიანი
 - 2012 წელს დაიღუპა 605 ადამიანი
 - 2013 წელს დაიღუპა 514 ადამიანი



ცხრილი 1. სტატისტიკა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა შესახებ წლების მიხედვით 2007-დან 2013 წლის ჩათვლით.

უსაფრთხოების ღვედის გამოყენება ქალაქში 2010 წლის შემოდგომაზე გახდა სავალდებულო და ამან 2010 წლის სტატისტიკაზე იქონია გავლენა - ავარიების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა პირველად ჩამოსცდა 700-ს. სტატისტიკა მოგვაწოდა შსს საინფორმაციო-ანალიტიკურმა დეპარტამენტმა

მას მერე, რაც უსაფრთხოების ღვედის გამოყენება სავალდებულო გახდა, დაღუპულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ბოლო სამი წელი ღვედამდე და სამი წელი ღვედის შემდეგ: 2008, 2009, 2010 წლებში ავარიების შედეგად საშუალოდ წელიწადში იღუპებოდა 764,3 ადამიანი; 2011, 2012, 2013 წლებში კი, საშუალოდ წელიწადში დაიღუპა 548,3 ადამიანი. ეს კი საშუალოდ წელიწადში 28,3 პროცენტით შემცირებას ნიშნავს. ფაქტია, რომ დაღუპულთა რიცხვმა ამ კანონის შემდეგ ამკარად და მნიშვნელოვნად იკლო. თანაც იმის გათვალისწინებით, რომ ავტომობილების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

როგორც აქამდე ვახსენეთ ყბა-სახისა და რბილი ქსოვილების ტრავმების ეპიდემიოლოგია ყველა ქვეყანაში სხვადასხვაა. ამ ტიპის კვლევები ჩატარებულია როგორც განვითარებად ისე განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიცაა: ამერიკა, საფრანგეთი, ბრაზილია, საბერძნეთი, ესტონეთი, ბულგარეთი, ნორვეგია, სერბია, უკრაინა, ინგლისი და ა.შ.

პრობლემის მასშტაბის გათვალისწინებით ყბა-სახის ტრავმების შედეგად მიღებული დაზიანებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. (Maciej Sikora, et al, 2019) (38). მისი გავლენა, როგორც ცალკეულ პიროვნებების, ასევე მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობის სტატუსზე და ქმედით უნარიანობაზე, მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ყბა-სახის ტრავმების ტრადიციული მკურნალობა საკმაოდ ძვირადღირებულია, იგი ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ დაავადებების მკურნალობებს შორის შეიძლება გამოვარჩიოთ, როგორც მაღალ ისე დაბალ განვითარებულ ქვეყნებში. (William Charles Scarfe, 2005) (39). თუმცა სხვა ქვეყნების და ასევე საქართველოს მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაზღვევების და რაღაც წილი დაფინანსებების ხარჯზე ამ კუთხით წინსვლა ნამდვილად აღინიშნება. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ყბა-სახის ტრავმების შედეგად

მიღებული დაზიანებები ხშირად მოითხოვს მკურნალობას არა მხოლოდ ყბა-სახის ქირურგთან არამედ თერაპევტ-სტომატოლოგთან, რასაც არ აფინანსებს სახელმწიფო და მხოლოდ კერძო დაზღვევის შემთხვევაში არის შესაძლებელი ამ ტიპის ანაზღაურება. ამ ტიპის დაზღვევები კი უმთავრესად ვრცელდება ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურებში ან დიდი კერძო კომპანიებში დასაქმებულ პირებზე, ამიტომ ადამიანთა უმრავლესობას თავისი ხარჯებით უწევს სტომატოლოგიური მომსახურების გადახდა და ხშირად არასათანადო მატერიალური მდგომარეობის გამო ამას ვერ ახერხებს. კერძო დაზღვევა კი საქართველოს მოსახლების 75%-ზე მეტს არ აქვს და არც სახელმწიფო პროგრამები ფუნქციონირებს თვით დასაქმებულ პირებზე ამ ტიპის ტრავმების დროს. მატერიალური პირობების გამო კი მცირდება საჭირო დროს ექიმთან ვიზიტი, რასაც მომავალში უფრო დიდ პრობლემადე მივყავართ. პირის ღრუში ტრავმის შედეგად მიღებულმა დაზიანებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ლორწოვანზე და კბილებზე სხვა დაავადებების განვითარებამ. როგორც აქმდე ავლნიშნეთ ამას ემატება სხვადასხვა გარემო და რისკ-ფაქტორები, ასევე ადამიანების განათლების დონე და სამედიცინო ცნობიერება პირის ღრუს ჯანმრთელობის მნიშვნელოვნებასთან და მის მკურნალობასთან დაკავშირებით.

გარდა სტომატოლოგიური მკურნალობისა, რომელიც როგორც ავლნიშნეთ არც ისე მარტივად ხელმისაწვდომია ყოველთვის, ყბა-სახის ტრავმების შედეგად სამკურნალო მანიპულაციების გარდა, ხშირია ესთეტიური პრობლემები, სახის უბნების დამახინჯება, რომლებიც კიდევ უფრო მეტ თანხას და სხვა ექიმი-სპეციალისტების ჩართულობას მოითხოვს. ესთეტიური ჩარევები კი ყველა შემთხვევაში დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და არცერთ სადაზღვეო პაკეტებში არ შედის. ამ ტიპის ვიზუალური პრობლემებს კი ძალიან ხშირად, როგორც საზოგადოებასთან, ასევე სერიოზულ ფსიქოლოგიურ პრობლემთან მივყავართ.

სწორედ ამიტომ მაჩვენებლების შესწავლა, შეფასება და გამოვლენა აქტუალური საკითხია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში არ არსებობს ამ ტიპის ეპიდემიოლოგიური დასკვნები, არ გვაქვს მონაცემები, შედეგები კი საკმაოდ ხშირი და სავალალოა. ეპიდემიოლოგიურ მონაცემები საშუალებას მოგვცემს აღირიცხოს გავრცელება, სიხშირე და ინტენსივობა, გამოვლინდეს ხელშემწყობი და

მაპროვოცირებელი ფაქტორები. ყველა მიზეზის გათვალისწინებით აუცილებელია საქართველოში (თბილისში) ჩატარდეს მსგავსი ტიპის კვლევა, ყბა-სახის ტრავმული ეპიდემიოლოგიის დასადგენად და მომავალში, მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე გატარდეს პრევენციული ღონისძიებები, რაც შეამცირებს რაოდენობას და ასევე მოხდეს მკურნალობის სწორი გეგმის შედგენა.

ამ ტიპის ეპიდემიოლოგიური კვლევა გვეხმარება გავარკვიოთ ყბა-სახის დაზიანებებთან დაკავშირებული მრავალფაქტორული ასპექტები, რათა განვსაზღვროთ დაზიანების ტიპები, უფრო ხშირი მიზეზები, რისკის ჯგუფები, სპეციფიური ტრენინგი ადამიანური რესურსებისათვის, საჭიროებები ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის და პრევენციული პროგრამების შემუშავება.

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო ყბა-სახის დაზიანებების მიზეზების შეფასება, დემოგრაფიული, სეზონური და კლინიკური ცვლადების გათვალისწინებით, გამოვლენილი საქართველოს დედაქალაქის ორ ყველაზე დიდი მოცულობის გადაუდებელ საავადმყოფოში, რომლებიც ემსახურებოდნენ როგორც ბავშვებს ასევე მოზარდებს. შედეგი კი გვაწვდის მტკიცებულებებს სამომავლო მკურნალობაზე და პრევენციული ღონისძიებების საჭიროებაზე.

კვლევის მიზანი, ობიექტი, ამოცანა

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში ყბა-სახის ტრავმული დაზიანებების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა, მათ შორის დაზიანებების სიხშირის, ინტენსივობის და გავრცელების გამოვლენა. ეპიდემიოლოგიური კვლევა ჩატარდა ორ ნაწილად: 1. საქართველოში 2015-2022 წლებში ყბა-სახის ტრავმული დაზიანებების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა განხორციელდა ჰოსპიტალიზაციის ბაზის მონაცემების საფუძველზე 2. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა თბილისში ორი მაღალი მიმართვიანობის ჰოსპიტლის მაგალითზე 2018 წლის განმავლობაში.

კვლევის ამოცანები

1. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების და ზოგადი ტენდენციების შესწავლა საქართველოში 8 წლის განმავლობაში (2015-2022წწ.)
2. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილების პაციენტების მაგალითზე ერთი წლის განმავლობაში.

კვლევის მეცნიერული სიახლე

ჩატარებული კვლევა წარმოადგენს საქართველოში პირველ კომპლექსურ ეპიდემიოლოგიურ კვლევას ყბა-სახის დაზიანებების მიმართულებით:

- ✓ პირველად არის შესწავლილი ყბა-სახის დაზიანებებით განპირობებული ტრავმების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები საქართველოს მოსახლეობაში 8 წლის განმავლობაში (2015-2022წწ.)
- ✓ პირველად არის შესწავლილი ყბა-სახის დაზიანებებით განპირობებული ტრავმების ზოგადი ტენდენციები საქართველოს მოსახლეობაში 8 წლის განმავლობაში (2015-2022წწ.)
- ✓ პირველად არის შესწავლილი ყბა-სახის ტრავმული დაზიანებების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დეპარტამენტებში მიმართვების მაგალითზე.

ნაშრომში გამოქვეყნებული მონაცემები შეგროვდა აშშ-ს ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის (National Institutes of Health) მიერ დაფინანსებული პროექტის „ICREATE - Increasing Capacity in Research in Eastern Europe - კვლევის მოცულობის გაზრდა აღმოსავლეთ ევროპაში” (NINDS 2D43TW007261) ფარგლებში. პროექტის კოორდინატორები არიან: აიოვას უნივერსიტეტი (აშშ) და ბაბემ-ბოლას უნივერსიტეტი (რუმინეთი). პროექტის მიზანი იყო ტრავმული დაზიანებების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა საქართველოს, სომხეთისა და მოლდოვის რესპუბლიკების მონაცემებზე.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ტრავმული დაზიანებების ეპიდემიოლოგიური კვლევების ხელშეწყობა საქართველოში და პარტნიორ ქვეყნებში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომი წარმოადგენს ყბა-სახის დაზიანებების მნიშვნელოვან ბაზისურ კვლევას, ასევე მომავალი კვლევებისთვის ჰიპოთეზების ჩამოყალიბების წყაროს. ჩატარებული კვლევით მიღებული შედეგები წარმოადგენს პრაქტიკულ ღირებულებას ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროს, წარმომადგენლებისთვის.

სამეცნიერო ლიტერატური მიმოხილვა

ტრავმების მართვა ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ის შეიძლება სიკვდილიანობის გაზრდის მთავარი მიზეზი გახდეს. ტრავმებიდან კი განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევი ყბა-სახის დაზიანებებია. (Abosadegh, Maher M; et al 2018)(40) სახის ტრავმამ შეიძლება გამოიწვიოს ნაწიბუროვანი დამახინჯება, რომელსაც თან ერთვის ემოციური და ფსიქოლოგიური პრობლემები. პოსტტრავმულად ფსიქოლოგიური ზემოქმედება, სტრესული სინდრომი და დეპრესია როგორც წესი ყბა-სახის მიდამოს ტრავმებთან თანდართულია. (Dr. (Lt Col) Sunil R et al, 2022)(41) ყბა-სახის მიდამოს დაზიანებები ძალიან დიდ როლს ასრულებს ადამიანის შეხედულებაში. ასევე ძალიან ბევრ მნიშვნელოვან ფუნქციასთან არის დაკავშირებული, როგორებიცაა: ჭამა, სუნთქვა, ყნოსვა, სმენა და ლაპარაკი. სახის მიდამოს ტრავმებთან ასევე დაკავშირებულია მაღალი სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები, საავადმყოფოს ხარჯების გაზრდა, როდესაც მუშაობა შეუძლებელია. (Jasjit K. Dillon DDS et al. 2012)(42) თავისა და სახის (კისრის) ტრავმები, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზია ავადობისა და სიკვდილიანობის, რომელსაც ასევე შეუძლია დროებითი ან მუდმივი ინვალიდობა გამოიწვიოს. (Ratilal Lalloo et al. 2017)(43) ტრავმის განვითარება შეიძლება განაპირობოს სხვადასხვა ფაქტორმა, როგორებიცაა: ავტოსაგზაო შემთხვევები, ვარდნა, სხვადასხვა სპორტი, ძალადობა, თავდასხმა,

საყოფაცხოვრებო და საწარმოო ტრავმა.ეს ყველაფერი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ინციდენტების ეტიოლოგიაში. (Kathryn M. Magruder et al, 2017) (44) საერთაშორისო კვლევების მიხედვით, ტრავმებიდან ძალიან ხშირია ყბა-სახის მიდამოში ჭრილობები. განსაკუთრებით კი ტრავმები განვითარებული აავტოსაგზაო შემთხვევებისას, რომელიც შეიძლება იყოს კერძო მანქანით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით და ძალიან ხშირად მოტოციკლეტით. (Imad S. Noorali et al. 2023)(45) უმეტეს ქვეყნებში მეორე ადგილი სიხშირის მიხედვით ვარდნას უჭირავს, რაც განსაკუთრებით მატულობს ზამთრის პერიოდში, მაგრამ ასევე ხშირია სხვა სეზონზეც. რადგან ეს მოიცავს როგორც საწარმო და საყოფაცხოვრებო ტრავმას, ასევე შეიძლება გამოვლინდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში რაიმე პატარა ხელშემწყობი მიზეზის საშუალებითაც.(Yoshisato Machida et al. 2023)(46) სპორტის შედეგად მიღებული ტრავმების მაჩვენებლის პროცენტულობა, ყბა-სახის მიდამოში ძალიან მაღალია, განსაკუთრებით ძალისხმიერი სპორტისა.(Ricardo Grillo et al. 2024)(47) პაციენტის ასაკმა, სოციალურმა, ფსიქოლოგიურმა და ფიზიკურმა მდგომარეობამაც შეიძლება დიდი წვლილი შეიტანოს დაზიანების სიმძიმესა და სიხშირეზე. (Weihsin Hu et al, 2023)(48) ყბა-სახის დაზიანებების ეპიდემიოლოგიური კვლევები გვხვდება ხშირად, ტრავმებში, ქირურგიაში, სტომატოლოგიაში და საერთოდ გლობალურად სამედიცინო ლიტერატურაში. (Hady Mohammadi et al, 2023) (Faeze Sharifi et al. 2023)(49;50) ტრავმების ეპიდემიოლოგია იცვლება დროის განმავლობაშიც, არა მხოლოდ მოსახლეობისა და საზოგადოებრივი ცვლილებების გამო, არამედ საკანონმდებლო ცვლილებებიც ახდენენ მასზე გავლენას. (Kai Lee et al, 2012)(51) მაგალითად რაც ღვედის გაკეთება სავალდებულო გახდა კანონით, შემცირდა ავტოსაგზაო დაზიანებები. ბევრი მაგალითი არსებობს ტრანსპორტთან, სიჩქარესთან, ალკოჰოლთან და საგზაო წესების დაცვასთან დაკავშირებული. (Batchu Pavan Kumar et al. 2023)(52) ეს შედეგები ეფუძნება მოწოდებულ კვლევებს, სხვადასხვა ქვეყნებიდან, როგორც განვითარებული ასევე განვითარებადი, რომელიც უფრო საინტერესო და მაღალ მაჩვენებლებს გვაძლევს. როგორც ავღნიშნეთ, ყბა-სახის ტრავმები გლობალური პრობლემაა, ტრავმათა 36-40% თავისა და ყბა-სახის ტრავმული დაზიანებაზე მოდის.(Cüneyt Arıkan, et al, 2023)(53) იგი მსოფლიოს ყველა ქვეყნის ჯანდაცვის

სისტემისა და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს. ეს პრობლემა ეხება როგორც დაბალი ასევე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს და მოქმედებს მოსახლეობის ყველა ასაკობრივ კატეგორიაზე. (Sophia Tetteh, et al. 2017)(54)

სახისა და რბილი ქსოვილების დაზიანების ეტიოლოგია განსხვავდება ქვეყნებს შორის და ასევე იმავე ქვეყნის ფარგლებში, არსებული სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და გარემო ფაქტორებზე დაყრდნობით. (Mohamed A. Jaber, et al. 2021)(55) ეს დაზიანებები სერიოზილ კლინიკურ პრობლემებთანაა დაკავშირებული, მათი ანატომიური მდებარეობის გამო. ხშირია სერიოზული დისფუნქციის გამოწვევა. (Eva Gómez Roselló et al. 2020)(56) ასევე ძალიან ხშირი და მძიმეა ცენტრალური ნერვული სისტემის (ცნს) დაზიანება. (Jae-Min Lee et al 2023)(57) სახის ტრავმები ხშირად ესთეტიური დარღვევების მიზეზიცაა. ამიტომ ფსიქოლოგიური ფაქტორიც დიდი როლს თამაშობს, სახის და რბილი ქსოვილების ტრავმების დროს. (Jingjing Mao, et al. 2023)(58) ბევრი ოჯახი განიცდის არა მხოლოდ ტკივილს, ინვალიდობას და სიკვდილს, არამედ ხშირ შემთხვევაში კარგავს შემოსავლის წყაროს, რაც კიდევ უფრო აღრმავებს პრობლემას. (Richard Wenthen et al. 2023)(59) სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეტიოლოგიურ ფაქტორებს და ტრავმის მექანიზმებს, რომლეთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება წარმატებით აღიკვეთოს მსგავსი ტიპის დაზიანებები. (Wusiman, et al. 2020)(60)

ეპიდემიოლოგიური კვლევები მნიშვნელოვანია არა მარტო ტრავმის ტვირთის იდენტიფიცირებისათვის, არამედ ჯანდაცვის სფეროში რესურსების მართვის და დაგეგმარებისათვისაც. (Fabio Rocchia et al, 2022)(61)

ტრავმების მონაცემების პერიოდული გამოკვლევა მნიშვნელოვანია საავადმყოფოების დატვირთვის გადანაწილებისთვის და სახელმწიფოსათვის, რომ სწორად დაიგეგმოს ხარჯები და დაფინანსებები. ასეთი ტიპის კვლევები გვეხმარება შევამციროთ ან სულაც თავიდან ავიცილოთ ყბა-სახის მიდამოს დაზიანებები. (Zhaohui, Shi et al. 2008) (Fatima A. S. Alsayad et al 2018) (62;63)

როგორც აქამდე ვახსენეთ ყბა-სახისა და რბილი ქსოვილების ტრავმების ეპიდემიოლოგია ყველა ქვეყანაში სხვადასხვაა. ამ ტიპის კვლევები ჩატარებულია როგორც განვითარებად ისე განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიცაა: ამერიკა,


საფრანგეთი, ბრაზილია, საბერძნეთი, ესტონეთი, ბულგარეთი, ნორვეგია, სერბია, უკრაინა, ინგლისი და ა.შ. (Mohanavalli Singaram et al. 2016) (Col Suresh Menon et al. 2023) (Thanvir Mohamed Niazi, et al. 2020) (Hua-Qiu Guo, et al. 2021) (Kanala S, et al 2020) (64;65;66;67;68)

ექვსწლიანი სახის ტრავმის მოვლის ეპიდემიოლოგიური ანალიზი (Thiago Bittencourt Ottoni Carvalho et al. 2010)(69)


დღეს დღეობით მსოფლიოში, ტრავმასთან დაკავშირებულ ასპექტებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებული მათ შორის კი ავადობაა. ყოველ დღირად დაახლოებით 16000 ადამიანი იღუპება ტრავმის გამო. ტრავმების ცენტრებზე დაკვირვებით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას რომ სახის ტრავმები ერთ-ერთი ყველაზე ხშირი დაზიანებაა. ვინაიდან სახე არის სხეულის ყველაზე გამოკვეთილი და ყველაზე ნაკლებად დაცული ნაწილი. სახე არის ასევე ის მნიშვნელოვანი რეგიონი რომელიც უკავშირდება ადამიანის თითქმის ყველა ორგანოსა და სისტემას. მთელი ყბა სახის მიდამოდან ყველაზე ხშირად ცხვირი და ქვედა ყბა ზიანდება. სახის მოტეხილობების ეპიდემიოლოგია მერყეობს ტრავმის ტიპის, დაზიანების სიმრავლის და სიმძიმის მაჩვენებლებში. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად მიღებული ტრავმები კვლავ წარმოადგენს მაქსიმალურ რაოდენობას. ბოლო პერიოდში ჩატარებული მრავალი კვლევის შედეგად ასევე გამოიყო ტრავმების დიდი რაოდენობა რომლებიც ძალადობის შედეგად განვითარდა. მსოფლიოში არის ტენდენცია, რომ შემცირდეს ყბა სახის ტრავმები, რომლებიც მიღებულია ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად და ამისათვის ბევრი ღონისძიებაა ჩატარებული. როგორებიცაა: გზის უკეთესი პირობები, ავტომობილები უსაფრთხოებისთანამედროვე და გაუმჯობესებული სისტემებით, ალკოჰოლოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლების მკაცრი დასჯა, სიჩქარის ლიმიტების შემცირება და რა თქმა უნდა უსაფრთხოების ქამრის გაკეთება. ეს დაზიანებები ძირითადად ხდება ახალგაზრდა ასაკის ადამიანებში, როგორც საგზაო შემთხვევები ასევე ძალადობა. ალკოჰოლი კი როგორც ავარიის ასევე ძალადობის მიზეზიც ხშირად არის, განსაკუთრებით სახლში მომხდარები ძალადობის ფაქტებზე დაყრდნობით, რომლებიც საკმაოდ ბევრია. ორივე შემთხვევაში ყბა ერთ-ერთი ხშირი

დაზიანების ადგილია მისი ანატომიური მდებარეობის გამო და ასეთი პაციენტები უმეტეს შემთხვევებში საჭიროებენ ჰოსპიტალიზაციას. სახის ტრავმა გამოირჩევა არა მხოლოდ მისი მნიშვნელობის გამო, ასევე მას აქვს ემოციური, ფუნქციონალური და კოსმეტიკური შედეგი, იქნება ეს მუდმივი თუ დროებითი დაზიანება. სქესის მიხედვით, ტრავმები კაცებში ყოველთვის უფრო ჭარბობს, ეს განპირობებულია იქიდან, რომ უფრო მეტი მამაკაცი მართავს მანქანას, ასრულებს ფიზიკურ აქტივობებს და ასევე მეტად მოიხმარენ ნარკოტიკულ საშუალებებს და ალკოჰოლს ავტომობილის მართვის დროს. ამის მიუხედავად ბოლო ათწლეულის განმავლობაში ტრავმებმა ქალებში საგრძნობლად მოიმატა მათი ცხოვრების წესიდან გამომდინარე. ჩვენს საზოგადოებაში, ბოლო წლების განმავლობაში ქალების ცხოვრება შეიცვალა და ბევრად აქტიური გახდა, უფრო მეტი მათგანი მუშაობს, ასევე დაკავებულია სპორტით და ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარებამაც საგრძნობლად გაიზარდა მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში. სახის ტრავმის მაღალი სიხშირის და პრევალენტობის გამო, აუცილებელია მკაფიოდ იყოს გაითვალისწინებული დაზიანებების ნიმუშები, რომლებიც გავლენას ახდენს სახეზე, და რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტორია სასწრაფო დახმარების საკითხში, რათა მოხდეს უფრო ადეკვატური და ეფექტური მკურნალობის უზრუნველყოფა. უფრო მეტიც, ასეთი ეპიდემიოლოგიური ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას პროტოკოლების შემუშავების მიზნით, რომლებიც მიმართულია პრევენციის პროგრამების განხორციელებისათვის.

გრაფიკი 1. ტრავმიანი პაციენტების განაწილება, ანატომიური ადგილმდებარეობის მიხედვით.



გრაფიკი 2. პაციენტების განაწილება ტრავმის ეტიოლოგიასთან მიმართებაში.



ყბა-სახის ტრავმა ძირითადი ტრავმის მქონე პაციენტებში (F N Shahim et al. 2006)(70) ყბა-სახის დაზიანება ხდება დაახლოებით ხუთიდან 33% პაციენტებში, რომლებიც განიცდიან მძიმე ტრავმას, ეს შეიძლება მოხდეს როგორც იზოლირებული დაზიანება ან სხვა მძიმე ტრავმასთან ერთად. ყბა-სახის დაზიანებებმა შეიძლება სხვადასხვა შეზღუდვები გამოიწვიოს, რადგან ამ მიდამოშს განსაკუთრებული ფუნქციები აქვს, როგორიცაა: ხედვა, სუნთქვა, სმენა, ყნოსვა, საუბარი, ლეჰვა და ჭამა. სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის მნიშვნელოვანი სტრუქტურების დაზიანებამ, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, შეიზლება მოახდინოს დიდი ფსიქოლოგიური ზეგავლენა და გამოიწვიოს ავადობის მაღალი დონე. ავსტრიელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სახის დეფორმაციამ რომელიც ტრავმის შედეგად არის დაზიანებული, შეუძლია გამოიწვიოს სხვადასხვა შეზღუდვა და პოსტ-ოპერაციული გართულების შედეგად მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა სოციალურ ფუნქციონირებაზე, მომავალში დასაქმებაზე, კეთილსინდისიერებასა და ნდობაზე. ამ დაზიანებებით გამოწვეული ფინანსური ტვირთიც ასევე მაღალია. ყველაზე გავრცელებული ასაკობრივი ჯგუფები კი რომლებიც ზარალდებიან, არიან მოზარდები.

როგორც სხვა დაავადებებისა და დაზიანებების შემთხვევაში, ეპიდემიოლოგიური მონაცემები მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს სამედიცინო სერვისებში



მკურნალობის, რესურსების განაწილებისა და სწორი დაგეგმვის დასანერგად. იგი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას პრევენციული სტრატეგიების შესამუშავებლად და შეიძლება მოგვაწოდოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია არსებული ზრუნვის ხარისხის შესახებ. 2001 წელს ვიქტორიის სახელმწიფო ტრავმების რეესტრის დაარსებით, შესაძლებელი გახდა ყბა-სახის დაზიანების ეპიდემიოლოგიის ანალიზი ქვეყნის მასშტაბით ტრავმულ პაციენტებში. ამ ინფორმაციას შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს ავსტრალიის გარეთ გამოვლენილ კვლევებს.

ყბა-სახის მოტეხილობები ლატინის პროვინციაში, ლაციო, იტალია 400 დაზიანებისა და 83 შემთხვევის მიმოხილვა (Paolo Arangio et al.2014)(71)

ტრავმატოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებები. ყბა-სახის ტრავმების მართვა მოიცავს სახის ძვლის მოტეხილობების მკურნალობას, დენტალოგენოლარული ტრავმის და რბილი ქსოვილების დაზიანებებს, აგრეთვე მათთან დაკავშირებულ ტრავმებს, ძირითადად თავზე და კისერზე. იტალიაში ძალიან ცოტა კვლევაა ამ თემასთან დაკავშირებით. მხოლოდ 16 მოხსენებაა ლიტერატურაში და აქედან მარტო 3 წარმოადგენს ზოგადად ყბა-სახის მოტეხილობების აღწერას. ყბა-სახის ტრავმის გაგება ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანების ქცევების მოდელების შეფასებას, პრევენციას და მკურნალობის ეფექტური სტრატეგიების დამკვიდრებას. ტრავმის მიზეზის, სიმძიმის და დროის გამოკვლევა შესაძლოა ძალიან დამხმარე აღმოჩნდეს პრიორიტეტის დასახვისთვის, ეფექტური მკურნალობისა და პრევენციისთვის. შესწავლილ მოსახლეობაზე დაყრდნობით, სახის მოტეხილობების ეპიდემიოლოგია განსხვავდება ტიპების, სიმძიმის და მიზეზების მიხედვით. ყბა-სახის მოტეხილობები გავლენას ახდენს ტრავმული პაციენტების მნიშვნელოვან ნაწილზე. ისინი შეიძლება მოხდეს იზოლირებულად ან სხვა სერიოზულ დაზიანებებთან ერთად, მათ შორის - თავთან, ზურგთან, ზედა და ქვედა ტანთან.

ლატინის პროვინციისათვის ეს არის პირველი ეპიდემიოლოგიური კვლევა სახის მოტეხილობებზე, სადაც 559.678 ადამიანი ცხოვრობს. ის ძალიან მნიშვნელოვანი დასასვენებელი ადგილია და განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, ამ რეგიონში მოსახლეობის საგრძნობი მატება აღინიშნება. ამ რეტროსპექტული კვლევის მიზანია

განალიზდეს 18 თვის განმავლობაში ჩატარებული მკურნალობის დროს ყბა-სახის მოტეხილობები, რომელიც მოხდა გორეთის საავადმყოფო "ლათინოამერიკაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ასაკს, მრავალფეროვნებას, ინციდენტებს, მოტეხილობებს და კლინიკურ მენეჯმენტს. ასევე ამ შედეგების შედარება მოხდა, სხვა ეპიდემიოლოგიურ კვლევებთან.



დიაგრამა 1. 2. ყბა-სახის ნამკურნალები ტრავმები; სქესი.

ყბა-სახის მოტეხილობის ეპიდემიოლოგია და მკურნალობის გეგმები ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთში: რეტროსპექტული კვლევა (Sahand Samieirad, et al 2017)(72)

მოსახლეობის ზრდამ და ინდუსტრიულმა განვითარებამ განაპირობა ცვლილებები ცხოვრების წესსა და პირად საქმიანობაში. ამ ცვლილებებმა კი განაპირობა ტრავმების სიჩქარის მომატება, განსაკუთრებით ყბა-სახის მიდამოს მოტეხილობების, მისი განსაკუთრებული ანატომიური მახასიათებლების გამო. ეს დაზიანებები ერთ – ერთი ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანი საკითხია. ამ მოტეხილობებმა შესაძლოა გამოიწვიოს სოციალურ-ეკონომიკური ტვირთი და მავნე ზეგავლენა როგორც საზოგადოების, ისე ჯანმრთელობის სისტემის მხრივ. ეს დაზიანებები, მსოფლიოში ჯანმრთელობის უმთავრეს პრობლემებს შორისაა. გარდა ამისა, ყბა-სახის მოტეხილობების მკურნალობა და რეაბილიტაცია დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ და ესთეტიკურ საკითხებთან, მძიმე ავადმყოფობასთან და შეზღუდულ შესაძლებლობებთან. ამასთან, ეს ტრავმები დიდ ფინანსურ საკითხებთანაა კავშირში, როგორც ინდივიდისათვის ასევე საზოგადოებისათვის. ამიტომა აუცილებელია მიექცეს მეტი ყურადღება დეტალებს და მათ ეპიდემიოლოგიას.

მსოფლიოს უმეტეს ადგილებში სახის მოტეხილობების ძირითადი მიზეზებია: ავტოსატრანსპორტო შემთხვევები, დაცემა, თავდასხმა, სპორტული და პროფესიული აქტივობები. სახის რბილი და მყარი ქსოვილების დაზიანებების ეპიდემიოლოგია და ნიმუშები განსხვავდება საზოგადოების, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მიხედვით. არაერთი ეპიდემიოლოგიური კვლევა ჩატარდა სხვადასხვა ქვეყანაში და პოპულაციებში ყბა-სახის მოტეხილობებზე. ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ არასაკმარისი მონაცემებია, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც უკავშირდება ეპიდემიოლოგიასა და მკურნალობის გეგმას ყბა-სახის ტავმული დაზიანებების შემთხვევაში.

სახის მოტეხილობების ეპიდემიოლოგია: სიხშირე, გავრცელება და ინვალიდობით ცხოვრების წლები 2017 წლის დაავადების გლობალური ტვირთის კვლევის მიხედვით (Ratilal Laloo et al. 2019)(73)

ყბა-სახის ტრავმებმა შეიძლება ისეთი მოტეხილობები გამოიწვიოს სახის მიდამოში, რომ საჭირო გახდეს ყბა-სახის ქირურგის მიერ ოპერაციის ჩატარება. დღეს-დღეობით როცა


უკვე განვითარებული და დახვეწილია დიაგნოსტიკა და ქირურგიული მკურნალობა, საკმაოდ ხშირია სახეზე მოტეხილობები და მაინც შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს პირველადი დაზიანება და ტრავმის მტავარი გამომწვევი მიზეზი. კლინიკური დათვალიერებისა და სათანადო დიაგნოსტიკური აღჭურვილობების გარეშე, სახის დაზიანებების დიაგნოსტიკა შეძლება საგრძნობლად შეფერხდეს და გამოაშკარავდეს მხოლოდ შემუშავების შეწყვეტის შემდეგ. გარკვეულ შემთხვევებში, ამან შეიძლება დამანგრეველ შედეგებამდე მიგვიყვანოს, მაგალითად თვალის კუნთების დაზიანების შემთხვევაში, შეიძლება სამუდამო თვალის მოძრაობის დისფუნქცია განვითარდეს. ამის დაამატებით მკურნალობაზე დაბალმა ხელმისაწვდომობამ შეიძლება სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს, რადგან ზოგიერთი ტრავმა საჭიროებს მომენტალურ ჩარევას, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ქირურგიული ოპერაცია არაა საჭირო. ზოგჯერ არის შემთხვევები, როდესაც სწორი და კარგი მოვლა საუკეთესო მკურნალობაა. მაგალითად, ქვედა ყბის მოტეხილობის შემთხვევაში საჭიროა რბილი საკვების მიღება, არნაირი ლექვითი მოძრაობების განხორციელება და ყბის ნაკლები მოძრაობა რამოდენიმე კვირის განმავლობაში. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო აუცილებელია პირის ღრუს ჰიგიენის გაძლიერებულად დაცვა, რადგან ნადებს და ბაქტერიებს შეუძლიათ ძალიან მძიმე შედეგებამდე მიიყვანონ ისედაც დაზიანებული ქსოვილები. ამრიგად, მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ როგორ მოხდა ეს დაზიანება და სად არის მთავარი ლოკაცია. ამგვარი ძალისხმევა ნამდვილად დამხმარე იქნება, უკეთესი დაგეგმვა, მკურნალობა, პრევენციისა და ხემისაწვდომობისათვის.

დღემდე, არ ჩატარებულა სისტემური შეფასება სახის მოტეხილობების გლობალური ტვირთის შესახებ, რაც არსებობს ყველა ქვეყანაში და ყველა ასაკისა და სქესის ჯგუფში. ტრავმის გამომწვევი მიზეზი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მკურნალობისათვის და განსაკუთრებით პრევენციისთვის. განსაკუთრების საყურადღებოა სახის ტრავმების რისკ-ფაქტორები, რადგან ეს არა მარტო ფუნქციურ არამედ ესთეტიური დაზიანებაცაა. სახის მოტეხილობების ტვირთის უფრო დეტალური შეფასება არამარტო გააძლიერებს ჯანდაცვის სისტემების შესაძლებლობას, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც უფრო მეტი ზრუნვა გამოვლინდება პოპულაციაზე.

ყბა-სახის ტრავმის ეტიოლოგია და სიხშირე ამსტერდამში 579 პაციენტის რეტროსპექტული ანალიზი (Bart van den Bergh et al. 2012)(74)

სახის მოტეხილობები გამოწვეულია სხვადასხვა დაზიანებებით სახის მიდამოში და შეიძლება იყოს იზოლირებულად ან კომპლექსურად სხვა დაზიანებებთან ერთად. სახის მოტეხილობების დიაგნოზი და მკურნალობა კვლავ რჩება რთულ პრობლემად, რომელსაც ხშირად მულტიდისციპლინარული მიდგომა ესაჭიროება. ყბა-სახის მოტეხილობების სიხშირე მრავალფეროვანია და განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებს შორის. მსოფლიოში ტრავმის გამომწვევუ ძირითადი მიზეზები თითქმის არ განსხვავდება. სინგაპურის, ახალი ზელანდიის, დანიის, იაპონიის და შუა აღმოსავლეთის რეგიონებში ჩატარებული კვლევებით დადასტურდა, რომ ავტოსატრანსპორტო შემთხვევების შედეგად მიღებული მოტეხილობები ყველაზე ხშირია. ხოლო, ქვეყნებში, რომლებიც ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულები არიან, როგორებიცაა: ქვე-საჰარის აფრიკის და სამხრეთ აფრიკის ნაწილებ, ყბა-სახის დაზიანებები უფრო ხშირად ხდება ძალადობის, ჩხუბის, თავდასხმებისა და იარაღის გამოყენების შედეგად. გავრცელებული ინციდენტობისა და ეტიოლოგიის დიდი ცვალებადობა განპირობებულია მრავალი ხელშემწყობი ფაქტორით, მათ შორის ეკოლოგიური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით. ზოგიერთი კვლევა აღწერს საგზაო მოძრაობის დროს ავარიების შემცირებას, ძალადობის ზრდას ალკოჰოლის ზედმეტი მოხმარებისას და საზოგადოებაში მზარდი აგრესიის გამო. ჩვენი ცოდნის თანახმად, ნიდერლანდებში არ არის აღწერილი ინფორმაცია, სადაც დეტალურადაა აღწერილი ყბა-სახის ტრავმების მიზეზები და შემთხვევები. ეს რეტროსპექტული მოხსენება წარმოადგენს კვლევას, რომელიც შეისწავლის 10 წლის განმავლობაში ამსტერდამში ყბა-სახის დაზიანებების მქონე პაციენტების ეტიოლოგიასა და ინციდენტს.

ალკოჰოლის მიღებისას მომხდარი ტრავმები



დიაგრამა 3. ალკოჰოლის მიღებისას მომხდარი ტრავმები.

ტრავმული სტომატოლოგიური დაზიანებების ეპიდემიოლოგია და შედეგები:

ლიტერატურის მიმოხილვა (R Lam. 2016)(75)

სტომატოლოგიური ტრავმა არის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემა მისი სიხშირის, ეკონომიკური პროდუქტიულობის და ცხოვრების ხარისხის გამო. ეს არ არის დაავადება და არცერთ პირი არ არის დაცული ამ უეცარი დაზიანებისაგან, რომელმაც შეიძლება სამუდამოდ ან კი დროებით შეცვალოს ადამიანის ცხოვრება.

სტომატოლოგიური ტრავმა არის კბილების ან / და სხვა მყარი და რბილი ქსოვილების, ასევე პირის ღრუსა და პირის ღრუს ირგვლივ მდებარე ქსოვილების დაზიანება. ეს ჩვეულებრივ არის უეცარი, გარემოებადი, მოულოდნელი, შემთხვევითი და ხშირად მოითხოვს გადაუდებელ დახმარებას. ეს არ არის დაავადება, არამედ ცხოვრების გარდაუვალი რისკ ფაქტორია. მიუხედავად იმისა, რომ ეს დაზიანებები გარკვეულ ჯგუფებში უფრო ხშირია, არცერთი ადამიანი არ იმყოფება ნულოვანი რისკის ქვეშ, ყოველდღიური ცხოვრების საქმიანობით. ამ დაზიანებებმა შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალური პირის ღრუს ჰიგიენის დაცვა და ცხოვრებისეული გამოცდილებს შექმნა, სტომატოლოგთან ვიზიტზე სტანდარტულ შემოწმებისათვის. დაზარალებული

ადამიანისთვის და საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისაღები ხარჯები. სტომატოლოგიური ტრავმა ხშირად უფრო შრომატევადი და ძვირია, ვიდრე სხვა უამრავ ტრავმა, რომლებსაც ესაჭიროება გადაუდებელი დახმარების კლინიკებში და საავადმყოფოებში მკურნალობა. სხეულის ტრავმა, პირის ღრუს დაზიანების ჩათვლით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემაა მთელ მსოფლიოში. გარკვეულ ჯგუფებში სტომატოლოგიური ტრავმა თითქმის ისეთივე მძიმეა, როგორც მთელი სხეულის ერთი მეხუთედის დაზიანება. ცნობილია, რომ სხეულის დაზიანებები არის სიკვდილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი 12-დან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდებში. ზოგიერთ დასავლურ ქვეყანაში, პირდაპირი და არაპირდაპირი ტრავმის ღირებულება, მთლიანი საყოფაცხოვრებო პროდუქტის დაახლოებით 4-5% -ს შეადგენს. მხოლოდ შეერთებულ შტატებში, ცხოვრების განმავლობაში სხეულის დაზიანებები შეფასებულია 406 მილიარდ აშშ დოლარად. გავრცელდა ინფორმაცია, რომ სტომატოლოგიური ტრავმები და მათ შედეგად მიღებული დაზიანებები, შეიძლება აღმატებოდეს ახალგაზრდებში კარიესის და პაროდონტის დაავადების სიხშირეს. ეს შედეგები არამარტო ფიზიკურ ან ეკონომიკურ, არამედ ინდივიდუალურად გაუცნობიერებელ ფსიქოსოციალურ ტვირთს წარმოადგენს. სტომატოლოგიური ტრავმების მართვა არასდროს არ არის იგივე და თითქმის ყოველთვის წარმოადგენს ექიმისათვის გამოწვევას. გადაუდებელი მენეჯმენტის დაწყება უნდა განხორციილდეს ტრავმის მიღებისას და არა როდესაც პაციენტი პირველად ხედავს სტომატოლოგს, რადგან ეს გავლენას ახდენს გამოჯანმრთელებაზე. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პირველადი დახმარების მნიშვნელობასა და საზოგადოების განათლების აუცილებლობაზე. დროული ჩარევის მიუხედავად, სტომატოლოგიური ტრავმების მართვა არ არის ჩვეულებრივი სიტუაცია ყოველდღიურ სტომატოლოგიურ პრაქტიკაში. ეს არის პროცედურა, როდესაც გეგმიური ვიზიტის წინასწარ განსაზღვრა ან დაგეგმვა შეუძლებელია. გარდა ამისა, ეს უცნობი პროცედურა წარმოადგენს პაციენტისათვის სხვადასხვა რისკებს, როგორებიცაა: კარიესი, არაზუსტი დიაგნოსტიკა და გრძელვადიან მკურნალობას. ასევე არსებობს გარემო პირობებით გამოწვეული სხვადასხვა ზემოქმედება და პაციენტის ფაქტორები, რომლებიც ყველა შემთხვევას უნიკალურს ხდის. ამ ცვლილებების გათვალისწინებით, მტკიცებულებებზე

დაფუძნებული პრაქტიკა საუკეთესო ვარიანტია მოსახლეობისათვის სადაც მონაცემების დიდი რაოდენობაა ხელმისაწვდომი. ეს ხაზს უსვამს ეპიდემიოლოგიის მნიშვნელობას და სპეციფიკური შემთხვევების ინდიიდუალურად შესწავლას, როგორცაა სტომატოლოგიური ტრავმები.

კვლევის საფუძვლების შექმნა ეფექტური მენეჯმენტისთვის, რესურსების გამოყოფისათვის, განათლებისათვის და სტომატოლოგიური ტრავმის დაგეგმარებისათვის საკმაოდ რთულია. ტრავმის მონაცემების შეკრება, სტომატოლოგიის სხვა მანიპულაციებისაგან განსხვავებით ხდება მხოლოდ ინციდენტის შემდეგ, რომელიც მოხდა მოულოდნელად. ეს მონაცემთა ბაზა ვერ იქნება დაფუძნებული შეგროვებულ ნიმუშებზე, კბილებზე და პაციენტებზე, რადგან ასეთი რანდომიზებული კვლევები არ არსებობს ეთიკური მიზეზების გამო. ტრავმების უმეტესობა ხდება ახალგაზრდა პაციენტებში რომლებსაც მაღალი ემოციური ფონი აქვთ და დაზიანებების აღწერა შეიძლება იყოს ბუნდოვანი. არსებობს ცნობები, რომ ტრავმების შემდეგ ბევრი პაციენტი არ მიდის სტომატოლოგთან თვეების განმავლობაში, რაც დიაგნოზს კიდევ უფრო არა ზუსტს ხდის. ასევე არსებობს რეგიონალური, კულტურული და სეზონური განსხვავებები ტრავმის შემთხვევებში და კლასიფიკაციებში. კლინიკურ დონეზე არსებობს განსხვავებული შეხედიულებები მედიკამენტების გამოყენებაზე, ტიპებზე, ხანგრძლივობაზე და ენდოდონტიური მკურნალობის დაწყებაზე. სტომატოლოგიური ტრავმის მკურნალობის პროცედურები არ არის არჩევითი, სადაც ექიმს შეუძლია პაციენტს მარტივი და მისთვის ნაცნობი მკურნალობა შესთავაზოს. ამ მიზეზების გათვალისწინებით არ არის უცნაური, რომ მონაცემები სხვადასხვაა ყველა ქვეყანაში. განსხვავებაა ტრავმის მონაცემებში ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას კვლევების დიზაინით. რეტროსპექტული კვლევა არის პაციენტის მონაცემების შეკრება, რომლებიც შეგროვებულია დროის გარკვეულ მომენტში. ეს მონაცემები წარმოადგენს მოვლენებს და გამოცდილებას, რაც მოხდა მკურნალობის დროს. როგორც წესი, ეს მაჩვენებლები არ არის შეფასებული, რადგან არ არის საიმედო და სანდო მონაცემების შეკრების საშუალება. ამ ყველაფერზე ზეგავლენას ახდენს ლოკალური ფაქტორები როგორებიცაა: კულტურა, ხელმისაწვდომობა და

წვდომა სტომატოლოგიურ მომსახურებასთან. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მძიმე დაზიანებები ხდება რამოდენიმე საათში, გარკვეული დაზიანებები როგორებიცაა რბილი ქსოვილების და ალველური ძვლის მოტეხილობების მონაცემების ჩანიშვნა, შეიძლება ვერ მოხერხდეს მკურნალობის პერიოდში. ხანგრძლივი კვლევების ჩატარება საკმაოდ შრომატევადია და დიდ დროსაც საჭიროებს, თუმცა ასეთი ტიპის კვლევები საშუალებას იძლევა დადგინდეს ინციდენტების სიხშირე და უმეტეს შემთხვევაში უფრო სანდოცაა. დღეს-დღეობით დიდი ყურადღება ენიჭება ტრავმის გამოკვლევას, რაც კარგ საშუალებას იძლევა უკეთეს რეპორტირებისათვის. ამ კვლევებით შესაძლებელია ტრავმის სიხშირის, მიზეზის, რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების, დაგეგმარების, ხარჯების შემცირების და განათლების გამოკვლევა. მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, ლიტერატურაში ამ კვლევების ნაკლებობაა.

ტრავმული სტომატოლოგიური დაზიანებების რეტროსპექტული შესწავლა ბრაზილიის სტომატოლოგიურ ტრავმატოლოგიურ კლინიკაში (Arnaldo Caldas Jr et al. 2002)(76) ეპიდემიოლოგიური კვლევების თანახმად, სტომატოლოგიური ტრავმა მნიშვნელოვანი პრობლემაა ახალგაზრდებში და ამ ტრავმების შედეგად ვითარდება პირის ღრუს სხვადასხვა პრობლემები, კარიესები, ღრძილების დაზიანებები და ანთებითი პროცესები.

ბავშვების დაახლოებით 50% განიცდის სტომატოლოგიურ ტრავმას, სანამ მიაღწევენ სკოლის ასაკს. ჩვეულებრივ, სტომატოლოგიური დაზიანება წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, რომელიც გავლენას ახდენს პაციენტის ცხოვრების ბევრ ასპექტზე.

სტომატოლოგიური დაზიანებების უმეტესი ნაწილი მოიცავს წინა კბილებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მოკბეჩვის და თავისუფლად საუბრის შეზღუდვა, ასევე სერიოზული უხერხულობა ღიმილის, სიცილის ან კი უბრალოდ კბილების გამოჩენისას. გარდა ესთეტიური მაჩვენებლისა ტრავმები, რომლებიც აზიანებს პირის ღრუს სხვადასხვა ნაწილებს შეიძლება იყოს: ფიზიკური და მექანიკური, ქიმიური, ელექტრო და თერული და რადიაციული. ტრავმასთან დაკავშირებული პირის ღრუს დაზიანებები ძალიან ხშირია სტომატოლოგიურ პრაქტიკაში და მათ შეუძლიათ გამოიწვიონ პირის ღრუს ნორმალური ფუნქციონირება და ძლიერი ტკივილი, ჭამის, ლეჩვის, ყლაპვის და

საუბრის დროს. ასეთი დაზიანებები შეიძლება გამოწვეული იყოს პირის ღრუში მომხდარი დაზიანების შედეგად ან კი განპირობებული სხვა ტრავმიდან.

სტომატოლოგიური ტრავმების მსხვერპლი არიან როგორც ბიჭები ასევე გოგოები, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ უმეტეს ქვეყნებში ბიჭები უფრო ხშირად ტრავმირდებიან ვიდრე გოგოები. ეს შედეგები ძირითადად განპირობებულია პატარა ასაკის მქონე ბავშვების ხასიათიდან, როგორც წესი ბიჭები უფრო აქტიურები არიან და უფრო მეტადაც ზიანდებიან, თუმცა რა თქმა უნდა გოგოებსაც აქვთ იგივე პრობლემები. კვლევები ჩატარებულია ბევრ ქვეყანაში, პრევენციისა და მკურნალობის გაუმჯობესების მიზნით.

ასაკი	კაცი	ქალი	სულ	%	კაცი	ქალი	სულ	%
1-5	45	32	77	30.8	69	50	119	29.53
6-15	86	41	127	50.8	133	62	195	48.39
16-59	27	19	46	18.4	59	30	89	22.08
ჯამში	158	92	250	100.0	261	142	403	100.0
პაციენტები					კბილები			

ცხრილი 2. ტრავმული სტომატოლოგიური დაზიანებების რეტროსპექტული შესწავლა ბრაზილიის სტომატოლოგიურ ტრავმატოლოგიურ კლინიკაში.

მუდმივი საჭრელების ტრავმული დაზიანებები ბავშვებში სამხრეთ თურქეთში, რეტროსპექტული კვლევა (Kirzioğlu Zuhul et al 2005)(77)

მუდმივი წინა კბილების და მის გარშემო მდებარე ქსოვილების ტრავმული დაზიანებები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ხდება წარმოადგენს ნამდვილ სტომატოლოგიურ გადაუდებელ შემთხვევას და მოითხოვს დაუყოვნებლივ შეფასებას და მართვას, რადგან ახალგაზრდა ასაკში მუდმივი კბილები ვითარდებიან და ყალიბდებიან. პაციენტები, რომლებიც ტრავმას განიცდიან, არამართო ფიზიკურად, არამედ ფსიქოლოგიურად ზიანდებიან. სტომატოლოგიური ტრავმა ასევე ამ ბავშვების მშობლებისთვისაც დიდ სირთულეს წარმოადგენს. ბევრმა ავტორმა აღნიშნა, რომ მუდმივი კბილების მოტეხილობა ტრაგიკული გამოცდილებაა, როგორც ბავშვისთვის, ასევე მშობლებისთვის, რომლებიც უფრო მეტად აფასებენ და დიდ ყურადღებას

ანიჭებენ ესთეტიკას, ვიდრე პრობლემის სიმპტომურ გამოვლინებას. სხვადასხვა ქვეყანასი ჩატარებული კვლევების მიხედვით გამოვლინდა, რომ ამ დაზიანებების პროცენტულობა მერყეობს 6 და 37 % მდე. ყველაზე გავრცელებული ეტიოლოგიური მიზეზებია ვარდნა, საავტომობილო ავარიები, ველოსიპედით უბედური შემთხვევები, შეჯახება და სპორტული საქმიანობა. ამ ფაქტორებისაგან გამოწვეული საზოგადოებისა და დაშავებული პაციენტის ხარჯები დიდია და კიდევ უფრო აუცილებელს ხდის ამ ტიპის დაზიანებებისათვის შემუშავდეს პრევენციის ღონისძიებები. ამ მიზეზების გამო, რეტროსპექტული კვლევები მნიშვნელოვანია ამ მდგომარეობის და სხვადასხვა ეტიოლოგიური ფაქტორების შეფასებისათვის და ტრავმისაგან კბილების მოტეხილობის დროს, სწორი და სასარგებლო პროფილაქტიკის დაგეგმარებისთვის. გარდა ამისა, სტომატოლოგებს ექნებათ საშვალეა უკეთესად შეაფასონ და უფრო ეფექტური მკურნალობა ჩაატარონ, როდესაც ეცოდინებათ სხვადასხვა მკურნალობის მეთოდების, შესაძლო პროგნოზები.

ეს გამოკვლევები ჩატარდა სტომატოლოგიასთან დაკავშირებული ტრავმების შემთხვევების, ეტიოლოგიური ფაქტორების, შედეგების, ასაკის, სქესის შესაფასებლად, სუელიმენი დემირელის უნივერსიტეტის, სტომატოლოგიის სკოლის, პედოდონტიის დეპარტამენტში და საჭრელი კბილების ტრავმული დაზიანებების მძიმე შემთხვევებით თურქეთის სამხრეთ ქალაქებიდან (ისპარტა, ანტალია, ბურდური).

რეტროსპექტული კვლევა სტომატოლოგიური ტრავმული დაზიანებების შესახებ სკოლამდელ ბავშვებში კიუნგ ჰის სტომატოლოგიურ ჰოსპიტალში, სეული, სამხრეთ კორეა (Sung Chul Choi et al. 2010)(78)

ძალიან ხშირია ტრავმები პირის ღრუში და მოიცავს დაზიანებების 5%. განსაკუთრებით კი სკოლამდელი ასაკის ბავშვებშია ხშირი და მძიმე, ისინი მოიცავენ ყველა სტომატოლოგიური დაზიანების დაახლოებით 40% ს. მთელ მსოფლიოში, ძალიან ბევრი კვლევა ჩატარებულა ამ საკითხებზე საიდანაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრავმული დაზიანებები სტომატოლოგიური კუთხით (TDI) უარყოფით ზეგავლენას ახდენს მომავალში მუდმივ თანკბილვაზე. ეს მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია სკოლამდელ პერიოდში, რადგან ამ დროს ჯერ არ არის განვითარებული ემოციური და ფსიქოლოგიური ზრდა. გარდა ამისა

მშობლების, მასწავლებლების და აღმზრდელების ცოდნის სიმწირეც დიდ გავლენას ახდენს გავრცელებაზე. სკოლამდელი აღზრდის პერიოდში ეს ტრავმები გავლენას ახდენს დროებითი თანკბილვის დასრულებაზე, მუდმივი კბილებით შეცვლასა და განვითარებაზე. ბევრი კვლევების თანახმად გამოვლინდა, რომ ვბავშვების დაახლოებით 30-40% ერთხელ მაინც აქვს გამოცდილი სტომატოლოგიური ტრავმა. ამ ტრავმებმა შეიძლება გამოიწვიოს კბილის დაზიანება, რომელიც ასევე ზეგავლენას ახდენს პირის ღრუზე, როგორც მაგარ ისე რბილ ქსოვილებზე. გარდა ამისა, ადგილობრივმა დაზიანებებმა და სტომატოლოგიურმა ტრავმამ შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირი გავლენა მოახდინონ ბავშვების ცხოვრებაზე, გავლენა იქონიოს გარეგნობაზე, მეტყველებაზე და კბილების მდგომარეობაზე, რაც აძლიერებს იმ მოსაზრებას, რომ ტრავმულმა სტომატოლოგიურმა დაზიანებამ (TDI) შეიძლება გამოიწვიოს ფუნქციური, ესთეტიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემები. არც ისე ბევრი პროფესიონალია დაინტერესებული სტომატოლოგიასთან დაკავშირებულ დაზიანებებში, ამიტომ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ დასრულებული მკურნალობის შედეგებიდან და ძალიან მწირა მასალა დიდ ხნიანი გართულებების შესახებ. ეფექტური ზრუნვის უზრუნველსაყოფად, სტომატოლოგებისათვის საჭიროა სპეციალური ცოდნა, ტრავმული დაზიანებების (TDI) სხვადასხვა ტიპების შესახებ, ასევე რეკომენდებული მკურნალობა თითოეული ამ დაზიანებისათვის (TDI). ბევრი წარუმატებელი მკურნალობის მიზეზი შეიძლება იყოს სტომატოლოგის მხრიდან არასათანადო ყურადღების გამოჩენა კონკრეტული ტრავმის მიმართ, არაადეკვატური კონსულტაცია და გადამეტებული არა მიზანმიმართული მკურნალობა. ასევე დიდ როლს ასრულებს კომუნიკაცია მშობლებთან, რადგან ხშირად გაუგებრობა და სტომატოლოგები არ ან ვერ აძლევენ სწორ და აუცილებელ მითითებებს მშობლებს, თუ როგორ უნდა მოუარონ და რა ტიპის ზრუნვა სჭირდება ბავშვს რომელმაც მიიღო დაზიანება პირის ღრუში.

ამ კვლევის მიზანია კორეაში სკოლამდელი ასაკის ბავშვების, ტრავმული სტომატოლოგიური დაზიანებების ანალიზის, ტიპის, რეგიონის, შემთხვევის, დაზიანების ადგილმდებარეობის, სეზონური ცვალებადობის და ტრავმის მიღებასა და მკურნალობის შორის ინტერვალობის განსაზღვრება. ეს ინფორმაცია სასარგებლო იქნება

ზუსტი დიაგნოზირებისათვის, სწორი კონსულტაციისა და მშობლებისათვის მიზანმიმართული ინსტრუქციების მისაცემად.

სახის ტრავმის ნიმუში და მკურნალობა პედიატრიულ და მოზარდ პაციენტებში (Jose Luis Muñante-Cárdenas et al. 2011)(79)

პედიატრიაში ყბა-სახის ტრავმები, ქირურგიებისათვის გამოწვევაა. არ არსებობს სრულად განსაზღვრული პროტოკოლები, ზოგჯერ კი, საწყისი მენეჯმენტიც შეიძლება განსხვავებული და ძალიან რთული იყოს. სახის მოტეხილობები ბავშვებში არც ისე ძალიან ხშირია როგორც მოზრდილებში. პედიატრიული (ბავშვთა) ყბა-სახის ტრავმული მოტეხილობები შეადგენს მთელი სახის მოტეხილობების 1% - 15% -ს და გამოხატულია სხვადასხვა კლინიკური მახასიათებლები მოზრდილ ასაკში მიღებულ ტრავმებთან შედარებით. რადგანაც ბავშვების ორგანიზმი არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული და ჯერ კიდევ ზრდის პროცესშია, ძვლები უფრო დრეკადია, ასევე პარანაზალური სინუსების პნევმატიზაციის ნაკლებობაა და ლოყებზე დიდი რაოდენობით ცხიმოვანი ბალიშების არსებობა უზრუნველყოფს უფრო მეტ დაცვას და მოტეხილობების სიხშირის შემცირებას. მთელ მსოფლიოში, ბავშვებში მოტეხილობების ძირითად მიზეზებს წარმოადგენს: ავტოსაგზაო ავარიები, დაცემა, ძალადობა და სპორტთან დაკავშირებული უბედური შემთხვევები. მათ სიხშირეზე გავლენას ახდენს სოციალური, კულტურული და გარემო ფაქტორები, რადგან მოტეხილობების მაჩვენებლები განსხვავებულია ქვეყნებს შორის. მეორე მხრივ, მკურნალობა შეიცვალა ბოლო წლების განმავლობაში. ბრაზილიაში იქნა შესწავლილი ყბა-სახის მოტეხილობები მოზრდილ პაციენტებში, 0დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებში კი ძალიან შეზღუდული ინფორმაცია სახის ტრავმის შესახებ. ამ კვლევის მიზანი იყო გამოკვლევა და შედარება ყბა-სახის მოტეხილობების ეტიოლოგიის, სიხშირის, განაწილების და ცლილებების ანალიზის ბოლო 10 წლის განმავლობაში ბავშვთა და მოზარდთა პაციენტებში რომლებიც დაფიქსირდა ბრაზილიაში (Piracicaba Dental School, Sao Paulo) პირის ღრუსა და ყბა-სახის ქირურგიულ განყოფილებაში.

პედიატრიული პაციენტების ყბა-სახის ტრავმა მალაიზიაში რეტროსპექტული კვლევა 1999 წლიდან 2001 წლამდე სამ საავადმყოფოში (Roslan Abdul Rahman et al 2007)(80)

ბავშვების დაზიანებები გამოირჩევა ტრავმასთან მიმართებაში, ბავშვთა ასაკში, კლინიკური მახასიათებლები განსხვავებულია, რადგანი ორგანიზმი ჯერ კიდევ მომწიფების სტადიაშია და პატარა ასაკში არ არის ზრდა დასრულებული. დადგენილია, რომ მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 22 მილიონი ბავშვი ზიანდება და აქედან 12% ტრავმის შედეგად ხდება. როგორც ზრდასრულთა, ისე ბავშვების რეტროსპექტული კვლევებით, რომლებიც მიმოიხილავს ყბა-სახის დაზიანებებს, ცხადყოფს, რომ მოტეხილობების მხოლოდ 1.3—4.9% დაფიქსირდა 11 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებში, ხოლო 4— 9.2% -ში ჩართულია 16 წლამდე ასაკის ბავშვებში. ძალიან მნიშვნელოვანია შემთხვევების განხილვისას გაკეთდეს მკურნალობის გეგმა წინასწარ და იქნეს დეტალურად ჩანიშნული. მაგალითად, პაციენტის ასაკი და სახის ძვლის მომწიფების ვადები, მოტეხილობების ტიპები და სახის გარდა ბავშვის მთელ სხეულზე სხვა დაზიანება. ტრავმის ეტიოლოგია დაკავშირებულია ბავშვის ასაკთან და მისდამოუკიდებლობასთან, სახლში დაცემა უფრო ხშირია უმცროსი ასაკის ჯგუფებში, ხოლო ავტოსატრანსპორტო შემთხვევები, სპორტი და ჩხუბი ასოცირდება უფრო მოზედილ ბავშვებთან.

ამ კვლევის მიზანი იყო პედიატრიულ პაციენტებში ყბა-სახის დაზიანებების ნიმუშების ანალიზი, რომლებიც აღწერილია დასავლეთ მალაიზიის სხვადასხვა რაიონის სამ მთავარ საავადმყოფოში. მალაიზიის საავადმყოფოს ეროვნული უნივერსიტეტი (NUMH), კუალა ლუმპური არის მესამე რეფერალური საუნივერსიტეტო საავადმყოფო, რომელიც მდებარეობს მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში. კაჯანგის საავადმყოფო მდებარეობს სელანგორის შტატში, რომელიც კუალა-ლუმპურიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 40 კილომეტრში მდებარეობს. ეს არის საშუალო რეფერალური საავადმყოფო, რომელიც ემსახურება 90,000 მოსახლეობას, რომლებიც ძირითადად მცირე ბიზნესის მოვაჭრეები და ფერმერები არიან. მეორეს მხრივ, სერემბანის საავადმყოფო მდებარეობს დედაქალაქ ნეგერი სემბილანის შტატის დედაქალაქ ცენტრში, რომელიც სამხრეთით მდებარეობს სელანგორამდე. ეს არის სახელმწიფოს ძირითადი ზოგადი და მესამეული რეფერალური ცენტრი; რომელიც ძირითადად ემსახურება სახელმწიფოს 878,500 მოსახლეობას და განსაკუთრებით დედაქალაქის 270,000 მოსახლეობას. მალაიზია მრავალ რასობრივი ქვეყანაა.

კვლევის მეთოდოლოგია

ჩატარებულმა რეტროსპექტულ ობსერვაციულ-ანალიტიკურმა კვლევამ, მოიცვა ყბა-სახის ტრავმული დაზიანების მქონე თითქმის ყველა ასაკის პაციენტი - 1 თვიდან - 87 წლამდე.

ქვეყნის მასშტაბით, ჰოსპიტალიზირებული 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში. კვლევისთვის გამოყენებული იყო საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ოფიციალური მონაცემთა ბაზა. ბაზიდან ყბა-სახის ტრავმული დაზიანებების იდენტიფიცირება მოხდა დაავადებების საერთაშორისო კლასიფიკატორი ICD- კოდების მიხედვით.

ანატომიური მდებარეობის მიხედვით ტრავმული დაზიანებების კლასიფიცირება განხორციელდა რამდენიმე კატეგორიად, რომელიც მოიცავდა ტრავმებს ყბა-სახის მიდამოში, ასევე მრავლობით ტრავმებს, მოწამვლა/ ტოქსიკური ეფექტები, გართულებები და სხვა/დაუზუსტებელი ტრავმებს. მრავლობითი ტრავმა განისაზღვრა, როგორც სხეულის ორი ან მეტი ნაწილის დაზიანება. გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ჰოსპიტალიზაციის კლასიფიცირება მოხდა ორ ჯგუფად: დედაქალაქი და რეგიონი.

რაც შეეხება პაციენტთა ჰოსპიტალიზაციას, განისაზღვრებოდა ხანგრძლივობა როგორც ხანმოკლე (1-2 დღე) და ხანგრძლივი (3 და მეტი დღე) ჰოსპიტალიზაცია.

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა SPSS პროგრამული უზრუნველყოფის 21.0 ვერსიის გამოყენებით. შესწავლილ იქნა ჰოსპიტალიზირებული პაციენტების და დაზიანებების მახასიათებლები. ამ მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთდა აღწერილობითი ანალიზი, სადაც წარმოდგენილი იყო განსახილველი ცვლადების აბსოლუტური და ფარდობითი სიხშირეები. კატეგორიულ ცვლადებს შორის განსხვავებები შემოწმდა დამოუკიდებლობის χ კვადრატის ტესტის (chi-square test for independence) გამოყენებით.

კვლევა შედგება ორი კომპონენტისგან: კვლევითი კომპონენტის I და კვლევითი კომპონენტის II.

კვლევითი კომპონენტი I. ყბა-სახის ტრავმული დაზიანების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები ჰოსპიტალიზაციის ბაზის მაგალითზე

კვლევის მიზანი და ამოცანები.

კვლევითი კომპონენტის (I) მიზანს წარმოადგენდა ყბა-სახის ტრავმული დაზიანების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ჰოსპიტალიზაციის ბაზის 8 წლის მონაცემების გამოყენებით. კვლევის აღნიშნული კომპონენტის მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ❖ 2015-2022 წლებში ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის ზოგადი ტენდენციების გამოვლენა;
- ❖ 2015-2022 წლებში ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა (ასაკი, სქესი, ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა, ჰოსპიტალიზაციის გამოსავალი).

კვლევის მეთოდები.

კვლევისათვის გამოვიყენეთ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ჰოსპიტალიზაციის ბაზის მონაცემები. მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება განვახორციელეთ SPSS პროგრამული პაკეტი 22-ე ვერსიის გამოყენებით. კვლევითი კომპონენტის (I) განხორციელდა NIH (აშშ) ფოგარტის საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტის iCREATE – Increasing Capacity in Injury Research in Eastern Europe ფარგლებში.

კვლევის შედეგები


2015-2022 წლებში ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 9129 შემთხვევა. 2015-2019 წლებში და 2018-2021 წლებში იკვეთება კლების ტენდენცია, რის პარალელურად 2018 წელს და 2022 წელს გაზრდილია შემთხვევათა რაოდენობა წინა წელთან შედარებით.

2015-2022 წლებში ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის ყველაზე მაღალი რაოდენობა დაფიქსირდა 2015 წელს (n=1417; 16%), ხოლო ყველაზე ნაკლები 2021 წელს (n=930; 10%).

ცხრილი 3. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი

წელი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
რაოდენობა	1417	1299	1167	1203	1112	949	930	1052
%	16%	14%	13%	13%	12%	10%	10%	12%

წყარო: დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი




გრაფიკი 3. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი.

2015-2022 წლებში ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციას დისპროპორციული სქესობრივი განაწილება ახასიათებს. პაციენტების საერთო რაოდენობის 78% (n=7079) მამაკაცია, ხოლო 22% (n=2050) - ქალები; სქესთა თანაფარდობამ შეადგინა ქალი: მამაკაცი / 1:3,45. 2015-2022 წლებში სქესთა თანაფარდობაში ყველაზე დიდი განსხვავება იყო 2017 წელს და 2019 წელს (თანაბრად ორივე წელს 1:3,7), ხოლო ყველაზე ნაკლები - 2016 წელს და 2022 წელს (თანაბრად ორივე წელს 1:3,1).

ცხრილი 4. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა სქესის მიხედვით, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი

წელი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
კაცი	1111	988	920	923	881	737	719	800
%	78%	76%	79%	77%	79%	78%	77%	76%
ქალი	306	311	247	280	231	212	211	252
%	22%	24%	21%	23%	21%	22%	23%	24%

წყარო: დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი



გრაფიკი 4. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა სქესის მიხედვით, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი.

ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის თითქმის თანაბარი მაჩვენებელი (დაახლოებით მესამედი) იყო 18-34 ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებში 33% (n=2990) და 35-60 ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებში 30% (n=2717). 0-18 ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებში აღინიშნა ყბა-სახის ტრავმული დაზიანებების შემთხვევათა 22% (n=2042), ხოლო 60 წლის და უფროსი ასაკის პაციენტებში -15% (n=1380).

2015-2022 წლების განმავლობაში ასაკობრივ ჯგუფებში ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების რაოდენობრივი გადანაწილება განსხვავებულია. ასე მაგალითად, 18-34 ასაკობრივი ჯგუფის პაციენტების ყველაზე მაღალი წილი აღინიშნა 2015 წელს 36% (n=580), და ყველაზე ნაკლები 2020 წელს და 2021 წელს თანაბრად 29% (შესაბამისად n=276 და n=273). 35-60 ასაკობრივი ჯგუფის პაციენტების ყველაზე მაღალი წილი აღინიშნა 2022 წელს 35% (n=366), და ყველაზე ნაკლები 2019 წელს - 27% (n=299).

0-18 ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებში ყველაზე მაღალი წილი აღინიშნა 2019 წელს 29% (n=317), და ყველაზე ნაკლები 2022 წელს - 17% (n=184). რაც შეეხება 60 წლის და უფროსი ასაკის პაციენტებში, ყველაზე მაღალი წილი აღინიშნა 2020 წელს და 2021 წელს თანაბრად 18% (შესაბამისად n=167 და n=165), და ყველაზე ნაკლები 2015 წელს და 2019 წელს თანაბრად 13% (შესაბამისად n=181 და n=145).

ცხრილი 5. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი

ასაკობრივი ჯგუფები	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
0-18	326	268	236	255	317	232	224	184
18-34	509	454	389	419	351	276	273	319
35-60	401	398	363	348	299	174	268	366
60 წლის და უფროსი	181	179	179	181	145	167	165	183

2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
23%	21%	20%	21%	29%	24%	24%	17%
36%	35%	33%	35%	32%	29%	29%	30%
28%	31%	31%	29%	27%	28%	29%	35%
13%	14%	15%	15%	13%	18%	18%	17%

წყარო: დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი

გრაფიკი 5. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი.




2015-2021 წლების განმავლობაში ყბა-სახის ტრავმული დაზიანების შემთხვევების უმეტესობას (81%; n=7387) დასჭირდა 1-3 დღე ჰოსპიტალიზაცია და მკურნალობა, ხოლო 19%-ს n=1732) 3 დღეზე მეტი დაყოვნება. 2015-2021 წლების განმავლობაში 3 დღეზე მეტი დაყოვნების ყველაზე მაღალი საჭიროება დაფიქსირდა 2022 წელს (22%; n=233), ყველაზე ნაკლები 2019 წელს (17%; n=189).

ცხრილი 6. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების განაწილება ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობის მიხედვით, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი.

ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობის	შემთხვევების რაოდენობა	წილი
1-3 დღე	7387	81%
3 და მეტი დღე	1732	19%

წყარო: დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი



გრაფიკი 6. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების განაწილება ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობის მიხედვით, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი.

2015-2021 წლების განმავლობაში ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზებული პაციენტების 96% (n=8763) დაასრულა მკურნალობა, 2% (n=153) გადაყვანილი იქნა სხვა სტაციონარში მკურნალობის გასაგრძელებლად, 2% (n=160) შეწყვიტა მკურნალობა, 1% (n=53) გარდაიცვალა (ცხრილი).

ცხრილი 7. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი.

ჰოსპიტალიზაციის შედეგი	შემთხვევების რაოდენობა	წილი
დასრულებული მკურნალობა	8763	96%
გადაყვანილია სხვა სტაციონარში	153	2%
შეწყვეტილი მკურნალობა	160	2%
გარდაიცვალა	53	1%

წყარო:

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი


2015-2021 წლების განმავლობაში დასრულებული მკურნალობის პროცენტულმა ფლუქტუაციამ შეადგინა 95%-97%. ყველაზე მეტი პაციენტი გარდაიცვალა 2016 წელს (14 პაციენტი), პაციენტების 1% გარდაიცვალა 2016, 2017, 2020 წელს და 2022 წელს, ხოლო ყველაზე ნაკლები 0,07%-ში (n=1) 2015 წელს.

ცხრილი 8. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი.

ჰოსპიტალიზაციის შედეგი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
დასრულებული მკურნალობა								996
n	1349	1248	1123	1169	1073	913	892	
%	95%	96%	96%	97%	96%	96%	96%	95%
გადაყვანილია სხვა სტაციონარში								34
n	13	4	5	22	26	23	26	
%	1%	0.3%	0.3%	2%	2%	2%	3%	3%
შეწყვეტილი მკურნალობა								14
n	54	33	31	8	8	4	8	
%	4%	3%	3%	1%	1%	0.4%	1%	1%
გარდაიცვალა								8
n	1	14	8	4	5	9	4	
%	0.07%	1%	1%	0.3%	0.5%	1%	0.4%	1%

წყარო: დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი

დიაგრამა 4. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი.



2015-2021 წლების განმავლობაში ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზებული პაციენტების 96%-ში (n=8763) აღინიშნა გადაუდებელი მდგომარეობა, ხოლო 4%-ში (n=367) გეგმიური. ყოველწლიურად თანაფარდობა პრაქტიკულად იდენტურია (95%-5% ან 97%-3%).

ცხრილი 9. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, შემთხვევის ტიპი, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი.

შემთხვევის ტიპი		2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
გადაუდებელი	8762	1368	1232	1131	1155	1069	912	892	1003
	96%	97%	95%	97%	96%	96%	96%	96%	95%
გეგმიური	367	49	67	36	48	43	37	38	49
	4%	3%	5%	3%	4%	4%	4%	4%	5%
სულ:	9129	1417	1299	1167	1203	1112	949	930	1052




გრაფიკი 7. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, შემთხვევის ტიპი, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი.

2015-2021 წლების განმავლობაში ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზებული პაციენტების უმეტესობა (59% n=5371) იყო თბილისის მაცხოვრებელი. კვლევის პერიოდში თანაფარდობა თბილისის/რეგიონის მაცხოვრებელი მნიშვნელოვნად შეიცვალა. 2015 წელს პაციენტების 72% და 2019 წელს პაციენტების 64% იყო თბილისის მაცხოვრებელი, ხოლო 2020-2022 წლებში პაციენტების წილი თბილისიდან და საქართველოს დანარჩენი რეგიონებიდან თითქმის გათანაბრდა (შესაბამისად 53%, 51% 52%).

ცხრილი 10. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საცხოვრებელი რეგიონი, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი.

საცხოვრებელი რეგიონი		2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
თბილისი	5371	1015	830	617	671	714	502	478	544
%	59%	72%	64%	53%	56%	64%	53%	51%	52%
რეგიონი	3758	402	469	550	532	398	447	452	508
%	41%	28%	36%	47%	44%	36%	47%	49%	48%
სულ:	9129	1417	1299	1167	1203	1112	949	930	1052

დიაგრამა 5. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საცხოვრებელი რეგიონი, საქართველო, 2015 წელი-2022 წელი.



2022 წლის ყბა-სახის ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტების ეპიდმიოლოგიური მახასიათებლები

მთელი საქართველოს მასშტაბით 2022 წელს ტრავმით ჯამში დაზიანდა სულ 551027 პაციენტი საიდანაც 1052 იყო ყბა-სახის ტრავმული დაზიანება. მონაცემების სტატისტიკური გაანალიზების შედეგად მივიღეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია პაციენტთა ასაკზე, სქესზე, რეგიონზე, გატარებულ საწოლ-დღეების რაოდენობაზე, შემთხვევის ტიპზე, ჰოსპიტალიზაციის შედეგზე, დიაგნოზებზე და გარე მიზეზებზე. რაც შეეხება საცხოვრებელ რეგიონს თბილისში იყო სულ 544 (52%) პაციენტი ხოლო რეგიონში დანარჩენი 508 (48%) პაციენტი.

ილუსტრაცია 1. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საცხოვრებელი რეგიონი, საქართველო, 2022 წელი.

Hypothesis Test Summary


	Null Hypothesis	Test	Sig.	Decision
1	The categories of საცხოვრებელი რეგიონი occur with equal probabilities.	One-Sample Chi-Square Test	.000	Reject the null hypothesis.

Asymptotic significances are displayed. The significance level is .05.

ცხრილი 11. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საცხოვრებელი რეგიონი, საქართველო, 2022 წელი.

საცხოვრებელი რეგიონი	აჭარა	69	6,6%
	გურია	2	,2%
	თბილისი	544	51,7%
	იმერეთი	313	29,8%
	კახეთი	34	3,2%
	მცხეთა-მთიანეთი	10	1,0%
	სამეგრელო და ზემო სვანეთი	6	,6%
	სამცხე-ჯავახეთი	5	,5%
	ქვემო ქართლი	47	4,5%
	შიდა ქართლი	22	2,1%

ილუსტრაცია 2. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საცხოვრებელი რეგიონი, საქართველო, 2022 წელი



2022 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტების გენდერის გადანაწილება მოხდა შემდეგნაირად: 800 (76%) იყო კაცი, ხოლო 252 (24%) იყო ქალი.

ცხრილი 12. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, სქესი, საქართველო, 2022 წელი.

სქესი	მამაკაცი	800	76,0%
	ქალი	252	24,0%


ილუსტრაცია 3. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, სქესი, საქართველო, 2022 წელი.

Hypothesis Test Summary

	Null Hypothesis	Test	Sig.	Decision
1	The categories defined by სქესი = ქალი and მამაკაცი occur with probabilities 0.5 and 0.5.	One-Sample Binomial Test	.000	Reject the null hypothesis.

Asymptotic significances are displayed. The significance level is .05.

ილუსტრაცია 4. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, სქესი, საქართველო, 2022 წელი



ამ პაციენტების ასაკი დავყავით 4 ასაკობრივ ჯგუფად: 18 წლამდე ასაკის პაციენტები; 18 დან 34 წელი; 35 დან 60 წელი და 60 წელზე მეტი ასაკის პაციენტები. პირველ ასაკობრივ ჯგუფში სულ იყო 184 (18%) პაციენტი; მეორე ასაკობრივ ჯგუფში 18-34 წელი ყველაზე მეტი შემთხვევა გამოვლინდა 319 (30%) პაციენტი; მესამე ჯგუფში 35-60 სულ 366 (35%) პაციენტი, ხოლო ბოლო ასაკობრივ ჯგუფში 60 წელზე მეტი პაციენტების ჯამი შეადგენდა 183 (17%) პაციენტი. სადაც საშვალო ასაკი გამოვლინდა 38,19; სტანდარტული გადახრა 1052.

ცხრილი 13. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ასაკი, საქართველო, 2022 წელი.

ასაკი	0-18 წელი	184	17,5%
	18-34 წელი	319	30,3%
	35-60 წელი	366	34,8%
	60 წელზე მეტი	183	17,4%

ასაკი


Mean	N	Std. Deviation
38,19	1052	21,369

ილუსტრაცია 5. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ასაკი, საქართველო, 2022 წელი.

Hypothesis Test Summary

	Null Hypothesis	Test	Sig.	Decision
1	The categories of ასაკი occur with equal probabilities.	One-Sample Chi-Square Test	.000	Reject the null hypothesis.

Asymptotic significances are displayed. The significance level is .05.



დიაგრამა 6. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ასაკი, საქართველო, 2022 წელი.

ყველა გამოკვლეული პაციენტი იმყოფებოდა ჰოსპიტალში, თუმცა გატარებული საწოლდრეების რაოდენობა განსხვავდებოდა. ამ შემთხვევაში გავაკეთეთ ორი ჯგუფი, პირველი: 1 დან 3 დღემდე და მეორე ჯგუფი: 3 დღეზე მეტი. მხოლოს 3 დღე და ნაკლები კლინიკაში გატარებული საწოლდრეებით პაციენტების რაოდენობა იყო 819 (78%) ხოლო 3 დღეზე მეტით ჰოსპიტალში დაყოვნების რიცხვი იყო 233 (22%) პაციენტი. სადაც საშუალოდ ჰოსპიტალში გატარებული საწოლდრეები აღმოჩნდა 2,91.

ცხრილი 14. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, გატარებული საწოლ-დღეების რიცხვი, საქართველო, 2022 წელი.

გატარებულისაწოლდღეების რიცხვი	1-3 დღე	819	77,9%
	3 დღეზე მეტი	233	22,1%

გატარებულისაწოლდღეების რიცხვი


Mean	N	Std. Deviation	Std. Error of Mean
2,91	1052	4,034	,124

ილუსტრაცია 6. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, გატარებული საწოლ-დღეების რიცხვი, საქართველო, 2022 წელი.

Hypothesis Test Summary

	Null Hypothesis	Test	Sig.	Decision
1	The categories defined by გატარებული საწოლდღეების რიცხვი = 1-3 დღე and 3 დღეზე მეტი occur with probabilities 0.5 and 0.5.	One-Sample Binomial Test	.000	Reject the null hypothesis.

Asymptotic significances are displayed. The significance level is .05.



ილუსტრაცია 7. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, გატარებული საწოლ-დღეების რიცხვი, საქართველო, 2022 წელი.

ცხრილი 15. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, გატარებული საწოლ-დღეების რიცხვი, საქართველო, 2022 წელი.

გატარებული	1	434	41,3%
საწოლდღეების	2	252	24,0%
რიცხვი	3	133	12,6%
	4	94	8,9%
	5	48	4,6%

6	20	1,9%
7	13	1,2%
8	12	1,1%
9	8	,8%
10	5	,5%
11	6	,6%
12	3	,3%
15	4	,4%
16	3	,3%
17	2	,2%
19	2	,2%
21	2	,2%
23	2	,2%
24	1	,1%
26	3	,3%
28	1	,1%
37	1	,1%
38	1	,1%
49	1	,1%
52	1	,1%


ილუსტრაცია 8. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, გატარებული საწოლ-დღეების რიცხვი, საქართველო, 2022 წელი.

Hypothesis Test Summary

	Null Hypothesis	Test	Sig.	Decision
1	The categories of გატარებული საწოლ-დღეების რიცხვი occur with equal probabilities.	One-Sample Chi-Square Test	.000	Reject the null hypothesis.

Asymptotic significances are displayed. The significance level is .05.

ილუსტრაცია 9. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, გატარებული საწოლ-დღეების რიცხვი, საქართველო, 2022 წელი.



ჰოსპიტალში მოხვედრილი პაციენტების 5% (49 პაციენტი), კლინიკაში მოხვდა გეგმიურად, ხოლო დანარჩენი 95% (1003 პაციენტი) კი გადაუდებლად.

ცხრილი 16. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, შემთხვევის ტიპი საქართველო, 2022 წელი.


შემთხვევის ტიპი	გადაუდებელი	1003	95,3%
გეგმიური	49	4,7%	

ილუსტრაცია 10. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, შემთხვევის ტიპი საქართველო, 2022 წელი.

	Null Hypothesis	Test	Sig.	Decision
1	The categories defined by შემთხვევის ტიპი = გადაუდებელი and გეგმიური occur with probabilities 0.5 and 0.5.	One-Sample Binomial Test	.000	Reject the null hypothesis.

Asymptotic significances are displayed. The significance level is .05.

ილუსტრაცია 11. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, შემთხვევის ტიპი საქართველო, 2022 წელი.



ჰოსპიტალიზაციის შედეგად რა თქმა უნდა განსხვავებული იყო, პაციენტები: დასრულებული მკურნალობით 95% (996 პაციენტი); გადაყვანილი სხვა სტაციონარში 3% (34 პაციენტი); შეწყვეტილი მკურნალობა 1% (14 პაციენტი) და გარდაცვლილი მხოლოდ 0.8% (8 პაციენტი).

ცხრილი 17. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, საქართველო, 2022 წელი.


ჰოსპიტალიზაციის შედეგი	დასრულებული მკურნალობა	გადაყვანილია სხვა სტაციონარში	შეწყვეტილი მკურნალობა	გარდაიცვალა
	996	34	14	8
	94,7%	3,2%	1,3%	,8%

ილუსტრაცია 12. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, საქართველო, 2022 წელი.

Hypothesis Test Summary

	Null Hypothesis	Test	Sig.	Decision
1	The categories of ჰოსპიტალიზაციის შედეგები occur with equal probabilities.	One-Sample Chi-Square Test	.000	Reject the null hypothesis.

Asymptotic significances are displayed. The significance level is .05.




ილუსტრაცია 13. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, საქართველო, 2022 წელი.

2022 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტების გადარჩევა, რომლებიც მოხვდნენ ჰოსპიტალში მოხდა ICD-10 კლასიფიკატორის მეშვეობით. სადაც მივიღეთ შედეგები დიაგნოზებზე და ასევე ტრავმის გამომწვევ გაქტორებზე (გარე მიზეზებზე).

ცხრილი 18. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, დასკვნითი დიაგნოზი, საქართველო, 2022 წელი.

დასკვნითი დიაგნოზი (ICD10)	S00.1	1	,1%
	S00.2	2	,2%
	S00.3	4	,4%
	S00.4	1	,1%
	S00.7	1	,1%
	S00.8	26	2,5%
	S00.9	12	1,1%
	S01.1	32	3,0%
	S01.2	12	1,1%
	S01.3	2	,2%
	S01.4	10	1,0%
	S01.5	44	4,2%
	S01.7	16	1,5%
	S01.8	28	2,7%
	S01.9	9	,9%
	S02.2	177	16,8%
	S02.3	47	4,5%
	S02.4	73	6,9%
	S02.6	156	14,8%
	S02.7	155	14,7%
	S02.8	29	2,8%
	S02.9	3	,3%
	S03.0	1	,1%
	S03.1	4	,4%
	S04.5	1	,1%
	S05.0	14	1,3%
	S05.1	2	,2%
	S05.2	49	4,7%
	S05.3	126	12,0%
	S05.4	2	,2%
S05.5	8	,8%	
S05.6	2	,2%	
S05.8	1	,1%	
S05.9	2	,2%	

ილუსტრაცია 14. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, დასკვნითი დიაგნოზი, საქართველო, 2022 წელი.




ცხრილი 19. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, გარეგანი მიზეზი, საქართველო, 2022 წელი.

გარეგანი მიზეზი	რაოდენობა	პროცენტი
V01.1	1	,1%
V03.0	1	,1%
V09.3	4	,4%
V18.0	1	,1%
V18.2	1	,1%
V18.9	1	,1%
V19.2	1	,1%
V19.3	2	,2%
V29.9	2	,2%
V43	1	,1%
V43.0	3	,3%
V43.2	1	,1%
V43.4	1	,1%
V43.6	2	,2%
V43.7	3	,3%
V43.9	1	,1%
V45.6	4	,4%
V48	2	,2%
V48.3	1	,1%
V48.9	6	,6%
V49.4	1	,1%

V49.5	1	,1%
V49.8	1	,1%
V49.9	9	,9%
V72.7	1	,1%
V77.3	1	,1%
V79.5	1	,1%
V80.0	1	,1%
V84.0	1	,1%
V87.4	2	,2%
V89.9	1	,1%
V98	3	,3%
V99	26	2,5%
W00-W19	5	,5%
W01	192	18,3%
W02	5	,5%
W03	4	,4%
W06	1	,1%
W08	1	,1%
W09	2	,2%
W10	26	2,5%
W11	1	,1%
W13	3	,3%
W14	1	,1%
W15	1	,1%
W17	13	1,2%
W18	25	2,4%
W19	172	16,3%
W20	8	,8%
W21	7	,7%
W22	32	3,0%
W25	1	,1%
W28	1	,1%
W29	6	,6%
W31	1	,1%
W32	1	,1%

W33	1	,1%
W34	2	,2%
W44	151	14,4%
W49	5	,5%
W50	6	,6%
W51	5	,5%
W54	4	,4%
W55	2	,2%
W99	5	,5%
X58	48	4,6%
X59	120	11,4%
X72	1	,1%
X80	1	,1%
Y04	14	1,3%
Y07.2	1	,1%
Y07.9	1	,1%
Y22	1	,1%
Y28	1	,1%
Y30	13	1,2%
Y31	18	1,7%
Y34	42	4,0%
Y89.9	12	1,1%
Y91.9	1	,1%

ილუსტრაცია 15. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, გარეგანი მიზეზი, საქართველო, 2022 წელი.



2022 წლის პაციენტთა გადანაწილება ასაკის მიხედვით

2022 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტების ასაკი, საცხოვრებელ რეგიონთან მიმართებაში განსხვავების სტატისტიკური სანდოობისათვის გამოვიყენეთ პირსონის χ^2 -კვადრატის კრიტერიუმი 1-ზე მეტი შერჩევისათვის. სადაც მივიღეთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება და $p=0.000$.

2022 წლის განმავლობაში ყველა ასაკობრივ ჯგუფში თბილისის მაშტაბით ჰოსპიტალიზირებული იყო 544 (52%) პაციენტი, რეგიონში კი დანარჩენილი 508 (48%) პაციენტი. ყველაზე მეტი შემთხვევა თბილისში გამოვლინდა, 35 და 60 წელში - 176 (48%) პაციენტი. თითქმის იდენტური შედეგი იყო 18 და 34 წელში - 175 (55%) პაციენტით. მესამე ადგილზე გამოვლინდა პირველი ასაკობრივი ჯგუფის პაციენტები, რომლებიც დაზიანდნენ ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით თბილისში 126 (69%) პაციენტით და ბოლო ადგილზე ბოლო ასაკობრივი ჯგუფის პაციენტები მოხვდნენ რაც შეადგენდა 67 (37%) პაციენტს.

ცხრილი 20. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საცხოვრებელი რეგიონი, ასაკი, საქართველო, 2022 წელი.

Pearson Chi-Square Tests

		ასაკი
საცხოვრებელი რეგიონი	Chi-square	92,611
	df	27
	Sig.	.000 ^{*,b,c}

Results are based on nonempty rows and columns in each innermost subtable.

*. The Chi-square statistic is significant at the .05 level.


b. More than 20% of cells in this subtable have expected cell counts less than 5. Chi-square results may be invalid.

c. The minimum expected cell count in this subtable is less than one. Chi-square results may be invalid.

ცხრილი 21. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საცხოვრებელი რეგიონი, ასაკი, საქართველო, 2022 წელი.

		ასაკი							
		0-18 წელი		18-34 წელი		35-60 წელი		60 წელზე მეტი	
საცხოვრებელი რეგიონი	აკარა	16	8,7%	14	4,4%	28	7,7%	11	6,0%
	გურია	0	0,0%	2	,6%	0	0,0%	0	0,0%
	თბილისი	126	68,5%	175	54,9%	176	48,1%	67	36,6%
	იმერეთი	29	15,8%	83	26,0%	108	29,5%	93	50,8%
	კახეთი	2	1,1%	11	3,4%	16	4,4%	5	2,7%
	მცხეთა-მთიანეთი	1	,5%	2	,6%	4	1,1%	3	1,6%
	სამეგრელო და ზემო სვანეთი	1	,5%	2	,6%	2	,5%	1	,5%
	სამცხე-ჯავახეთი	1	,5%	1	,3%	3	,8%	0	0,0%
	ქვემო ქართლი	3	1,6%	20	6,3%	21	5,7%	3	1,6%
	შიდა ქართლი	5	2,7%	9	2,8%	8	2,2%	0	0,0%

ილუსტრაცია 16. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საცხოვრებელი რეგიონი, ასაკი, საქართველო, 2022 წელი.



2022 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირდა პაციენტები გადაუდებელი და გეგმიური შემთხვევის ტიპით, ასაკის მიხედვით ყველაზე მეტი ტიპი გამოვლინდა 35 და 60 წელ ასაკის პაციენტებში 95% -ით (n=347), დანარჩენი 5% (n=19) კი გეგმიური პაციენტები. მეორე ასაკობრივ ჯგუფში 18 და 34 წელშიც თითქმის იგივე შედეგი გამოვლინდა გადაუდებელ პაციენტებში 96% (n=305) და 4% (n=14) გეგმიური პაციენტები. სიხშირით მესამე ადგილზე ბოლო ასაკობრივ ჯგუფი აღმოჩნდა სადაც გადაუდებელი პაციენტების რაოდენობა 99%-ს (n=181) შეადგენდა და გეგმიური კი მხოლოდ 1% (n=2) იყო. ყველაზე ნაკლები ჰოსპიტალიზირებული პაციენტი გადაუდებლად ჰოსპიტალში მოხვდა 92% (n=170) და გეგმიურად კი დარჩენილი 8% (n=14).

შემთხვევის ტიპის და ასაკის მიხედვით განსხვავების სტატისტიკური სანდოობისათვის გამოვიყენეთ პირსონის ჰი-კვადრატის კრიტერიუმი 1-ზე მეტი შერჩევისათვის. სადაც მივიღეთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება და $p=0.028$.

ცხრილი 22. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, შემთხვევის ტიპი, ასაკი, საქართველო, 2022 წელი.


		ასაკი							
		0-18 წელი		18-34 წელი		35-60 წელი		60 წელზე მეტი	
შემთხვევის ტიპი	გადაუდებელი	170	92,4%	305	95,6%	347	94,8%	181	98,9%
	გეგმიური	14	7,6%	14	4,4%	19	5,2%	2	1,1%

Pearson Chi-Square Tests

		ასაკი
შემთხვევის ტიპი	Chi-square	9,131
	df	3
	Sig.	.028*

Results are based on nonempty rows and columns in each innermost subtable.

*. The Chi-square statistic is significant at the .05 level.



ილუსტრაცია 17. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, შემთხვევის ტიპი, ასაკი, საქართველო, 2022 წელი.

2022 წელს ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტებში ჰოსპიტალიზაციის შედეგში ასაკთან მიმართებაში განსხვავების სტატისტიკური სანდოობისათვის გამოვიყენეთ პირსონის χ^2 -კვადრატის კრიტერიუმი 1-ზე მეტი შერჩევისათვის. სადაც მივიღეთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება და $p=0.589$.

ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა 35 და 60 წლის პაციენტებში დასრულებული მკურნალობით 345 პაციენტით (94%); შემდეგი იყო გადაყვანილი სხვა სტაციონარში 12 (3%) პაციენტი; შეწყვეტილი მკურნალობით იყო 7 (2%) პაციენტი და მხოლოდ 2 (0.5%) პაციენტი გარდაიცვალა. რაც შეეხება 18 და 34 წლის პაციენტებს: დასრულებული მკურნალობა ჩატარდა 296 (93%) პაციენტს; გადაყვანილი სხვა სტაციონარში იყო 14 (4%) პაციენტი, მკურნალობა შეუწყდა 5 (2%) პაციენტს და გარდავლილი იყო 4 (1%) პაციენტი, რომელიც ყველა ასაკობრივი ჯგუფში გარდაცვლილი პაციენტების ყველაზე მარალი შედეგი იყო. 0 და 18 წლამდე და 60 წელზე მეტი ასაკის პაციენტებში შედეგები დაახლოებით ერთნაირად გადანაწილდა: დასრულებული მკურნალობა 0-18 ში იყო 179 (97%), ხოლო 60 წელზე მეტის პაციენტებში კი 176 (96%) პაციენტი. სხვა სტაციონარში გადაიყვანეს 3 (2%) 0 და 18 წლამდე ასაკის პაციენტი და 5 (3%) პაციენტი 60 წელზე მეტის. რაც შეეხება შეწყვეტილ მკურნალობას და გარდაცვლილ პაციენტებს, შედეგები იდენტური აღმოჩნდა თითო-თითო პაციენტი (0,5% - 0,5%) ორივე ასაკობრივ ჯგუფში და ორივე შედეგში.


ცხრილი 23. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, ასაკი, საქართველო, 2022 წელი.

	ასაკი							
	0-18 წელი		18-34 წელი		35-60 წელი		60 წელზე მეტი	
ჰოსპიტალიზაციის დასრულებული შედეგი	179	97,3%	296	92,8%	345	94,3%	176	96,2%
მკურნალობა გადაყვანილია სხვა სტაციონარში	3	1,6%	14	4,4%	12	3,3%	5	2,7%
შეწყვეტილი მკურნალობა	1	,5%	5	1,6%	7	1,9%	1	,5%
გარდაიცვალა	1	,5%	4	1,3%	2	,5%	1	,5%
							ასაკი	
ჰოსპიტალიზაციის შედეგი	Chi-square						7,461	
	df						9	
	Sig.						.589 ^a	

Results are based on nonempty rows and columns in each innermost subtable.

a. More than 20% of cells in this subtable have expected cell counts less than 5. Chi-square results may be invalid.

ილუსტრაცია 18. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, ასაკი, საქართველო, 2022 წელი.



2022 წლის ყბა-სახის ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებული პაციენტებზე მივიღეთ ინფორმაცია, ყბა-სახის ყველა ნაწილზე დეტალურად ICD-10 კლასიფიკატორის, დიაგნოზების საშვალეებით, ასაკთან მიმართებაში.

დასკვნით დიაგნოზში და ასაკში განსხვავების სტატისტიკური სანდოობისათვის გამოვიყენეთ პირსონის ჰი-კვადრატის კრიტერიუმი 1-ზე მეტი შერჩევისათვის. სადაც მივიღეთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება და $p=0.000$

ცხრილი 24. ყბა-სახის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, დასკვნითი დიაგნოზი, ასაკი, საქართველო, 2022 წელი.

Pearson Chi-Square Tests

		ასაკი
დასკვნითი	Chi-square	518,697
დიაგნოზი (ICD10)	df	99
	Sig.	.000 ^{*,b,c}

Results are based on nonempty rows and columns in each innermost subtable.


*. The Chi-square statistic is significant at the .05 level.

b. More than 20% of cells in this subtable have expected cell counts less than 5. Chi-square results may be invalid.

